საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 10 (30)
სამშაბათი, 15 იანვარი, 1991 წ.
ფასი 10 კაპიკი

სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ!

ამა წლის 9 იანვარს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც განიხილა თქვენი 7 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო“.

არ შევეხები წმინდა სამართლებრივ საკითხს, — ამაზე ლაპარაკია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში, რომელიც უარყოფს თქვენი ბრძანებულების კანონიერ ძალას, — რადგან სსრ კავშირის პრეზიდენტსაც კი არა აქვს უფლება იურიდიული ძალა წაართვას საქართველოს რესპუბლიკის კანონებს: საქართველოს ტერიტორიაზე გარდამავალ პერიოდში მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონები, აგრეთვე სსრ კავშირის ზოგიერთი კანონი. საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის თანახმად სსრ კავშირის კანონებსა და რესპუბლიკის კანონებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონები. მაშასადამე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს საქართველოს ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონის ან სხვა აქტის მოქმედება.

თქვენი ბრძანებულებით გვთავაზობთ ყოფილი ოლქის ტერიტორიიდან გამოვიყვანოთ ყველა შეიარაღებული ფორმირება, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების გარდა. მაგრამ მხედველობიდან გამოგრჩათ, ან ინფორმირებული არა ხართ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე, ამ ჯარების გარდა, დისლოცირებულია საბჭოთა არმიის ნაწილებიც. რა ვუყოთ? თქვენი ბრძანებულების თანახმად მათაც არა აქვთ უფლება იმყოფებოდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე და იქიდან გამოყვანილ უნდა იქნენ.

თქვენმა ბრძანებულებამ შეაძრწუნა მთელი ქართველი ხალხი, აგრეთვე რესპუბლიკის არაქართველი მოსახლეობა, უამისოდაც მტკივნეულად რომ განიცდის შიდა ქართლის — ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში მომხდარ ამბებს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უკანასკნელი წლების მანძილზე ექსტრემისტთა ხელში, რომლებმაც ხელმძღვანელი პოსტები დაიკავეს ოლქის ხელისუფლების ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, გადაიქცა ანტიქართული ისტერიის კერად, 1989 წლის ნოემბრიდან კი ფაქტობრივად და იურიდიულად — დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პლაცდარმად, რაც იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საქართველოს რესპუბლიკას წაართვან მისი ოდინდელი ტერიტორია, რომლის შენარჩუნებისთვისაც ქართველი ხალხი 2000 წელზე მეტ ხანს იბრძოდა.

მოგეხსენებათ შიდა ქართლში ოსთა ნაწილის მათი ისტორიული სამშობლოდან— ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების ისტორია. იცით ისიც, რომ ავტონომიური ოლქი ხელოვნურად შეიქმნა საქართველოს ინტერვენციისა და ოკუპაციის შემდეგ, რაც განხორციელდა საბჭოთა რუსეთის მაშინდელი მთავრობის ბრძანებითა და ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის აქტიური მონაწილეობით, რომლებიც არ მოერიდნენ იმას, რომ ოლქის საზღვრებში მოექციათ აგრეთვე ქალაქი ცხინვალი და ათობით სოფელი მკვიდრი ქართველი მოსახლეობითურთ.

„სუვერენული რესპუბლიკის“ შექმნისათვის ოსი ეროვნების ექსტრემისტთა მოქმედებას, მაშინ, როცა ასეთი არსებობს კავკასიონის ქედს გადაღმა, არ შეიძლება არ გამოეწვია ქართველი ხალხის, საქართველოს იმ ოსი მოსახლეობის უმრავლესობის ერთსულოვანი წინააღმდეგობა, რომლის მეტი ნაწილი ცხოვრობს ყოფილი ოლქის ფარგლებს გარეთ.

ეგრეთ წოდებული „რესპუბლიკის“ თვითმარქვია ხელმძღვანელთა ცინიკურმა უარმა ანგარიში გაუწიონ კონსტიტუციურ საფუძვლებს, უარმა შეესრულებინათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება, რომელმაც უკანონოდ ცნო სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აქტი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნის თაობაზე, უკიდურესად გაამწვავა პოლიტიკური ვითარება რეგიონსა და მთელ საქართველოში. ხელისუფლების საკავშირო ორგანოებისა და პირადად თქვენი დუმილი საზოგადოებრიობას არწმუნებდა, რომ საჭირო იყო გადაეწყვიტა საკითხი დამოუკიდებლად, თავის სუვერენულ უფლებებზე დაყრდნობით, რომლებსაც თავხედურად თელავდნენ ფეხქვეშ ერთი მუჭა შეიარაღებული ექსტრემისტები, „სამხრეთ ოსეთის“ ხალხის თვითგამორკვევისათვის“ მებრძოლთა სამოსელში რომ არიან გამოწყობილი.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არ არსებობს არავითარი „ოსეთის სამხრეთი“. არის მხოლოდ შიდა ქართლის რეგიონი, სადაც გარკვეული დროიდან ცხოვრობენ ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსახლებული ოსი ეროვნების პირები, რაც დამტკიცებულია ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებით. ეს ოდინდელი ქართული მიწა-წყალია, რომლის წართმევას ქართველი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება, სანამ ცოცხლობს თვით ხალხი. არ შეიძლება გავაიგივოთ შიდა ქართლის ვითარება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიებთან, რაც თქვენთვის რა თქმა უნდა, გასაგებია, რამეთუ კარგად იცნობთ რუსეთის იმპერიის ისტორიას, მაგრამ სხვა რესპუბლიკების საშინაო საქმეები თვით რესპუბლიკების საქმეა. ერთი რამ ცხადია: დაუშვებელია ვუდგებოდეთ ყველაფერს ერთი საზომით, სსრ კავშირის კონსტიტუციაში მოხსენიებულ ყველა ავტონომიას — მათი წარმოქმნის ისტორიულ-სამართლებრივი საფუძვლების გაუთვალისწინებლად.

საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ არც ერთი ეროვნული უმცირესობა საქართველოში არ განიცდის არავითარ შეზღუდვებს ეროვნულ-კულტურული ავტონომიის განვითარებაში. ეს ფაქტია, რომლის შემოწმება ადვილია. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ხელმძღვანელობა ახორციელებდა აშკარად დისკრიმინაციულ პოლიტიკას რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის მიმართ.

და როცა ამ პირობებში ოსი ეროვნების სეპარატისტები შეუდგნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, ურომლისოდაც, თითქოს შეუძლებელი იყოს რეგიონში მცხოვრებ ოსთა ეროვნული კულტურის განვითარება, რომლებსაც ვითომდა დისკრიმინაციას უწევენ ქართველები, ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა აივსო — ოლქის გაუქმება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება გახდა შექმნილ სიტუაციაში. ამ აქტმა არა მარტო ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოუღოს სეპარატისტულ მოქმედებას, არამედ აღადგინოს კიდეც ისტორიული სამართლიანობა.

შემდგომი მოვლენები კარგად მოგეხსენებათ, ისინი ჩამოყალიბებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 იანვრის დადგენილებაშიც.

თქვენ არ უნდა გაგაკვირვოთ თქვენი ბრძანებულების მკვეთრად უარყოფითმა შეფასებამ, რადგან მასში აქცენტი გადატანილია თითქოსდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არამართლზომიერ მოქმედებაზე და სრულიად არ არის დაგმობილი სეპარატისტთა მოქმედება შიდა ქართლში, არადა სწორედ მათი მიზეზით იყო კიდეც მიღებული გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. გვინდა შეგახსენოთ, რომ საქართველოს ეროვნული პარლამენტი ოლქის არსებობისადმი მეტად უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად მაინც არ აპირებდა მის გაუქმებას, რაც გამოცხადებული იყო ოფიციალურად — და არაერთხელ.

განსაკუთრებით მიუღებელია ბრძანებულების დებულება რეგიონიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანაყოფების დაუყოვნებლივი გამოყვანის შესახებ, მაშინ როცა იქ თარეშობენ ოსი ექსტრემისტები, ტერორით აშინებენ ქართველ მოსახლეობას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების წაყრუებით. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ვერც ერთი სუვერენული სახელმწიფო ვერ დაუშვებს, რომ მის ტერიტორიაზე წარმოიქმნას სამართლებრივი ვაკუუმი, რომელშიც იმოქმედებენ შეიარაღებული ძალები, მის იურისდიქციას რომ არ ექვემდებარებიან და მისი სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ რომ მოქმედებენ. ჩვენ 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულება მიგვაჩნია უკანონოდ საქართველოს მიმართ, რადგან იგი დაიდო საქართველოს ოკუპაციის პირობებში, ქართველი ხალხის ნების გაუთვალისწინებლად. მაგრამ კიდევაც რომ დავდგეთ თქვენს პოზიციაზე და დავადასტუროთ, რომ იგი ნამდვილია, იბადება კითხვა—განა ეს ხელშეკრულება არ იძლეოდა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტიას?! ვისღა იცავს დღეს კავშირი?

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მოწმობს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევანის სისწორეს, რომელმაც გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი სრული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ თავს ვცნობთ სსრ კავშირის შემადგენლობაში იმ პირობით, რომ საბჭოთა კავშირი აღიარებს ქართველი ხალხის სუვერენულ უფლებას მთლიანად აღადგინოს ძალით წართმეული სახელმწიფოებრიობა სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიების გათვალისწინებით.

ამა წლის 7 იანვრის ბრძანებულების მსგავსი აქტები ხელს არ უწყობენ ვითარების სტაბილიზაციას, არ ანელებენ დაძაბულობას რეგიონში, პირიქით, ამხნევებენ სეპარატისტებს, მათს ექსტრემისტებს უბიძგებენ აქტიურობისაკენ. სწორედ ამ ბრძანებულების შემდეგ, ვითარება რეგიონში დრამატულად გართულდა, დაიღვარა სისხლი.

შექმნილი აფეთქებასაშიში სიტუაცია შეიძლება შეანელოს მხოლოდ თქვენი ბრძანებულების მოქმედების შეჩერებამ და, თქვენ მიერ იმ პოზიციის დაკავებამ, რომელიც უნდა ეკავოს სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის პრეზიდენტს—ესე იგი იცავდეს მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენობას, უკუაგდოს ყველა კონიუნქტურული მოსაზრება, საკადრისი პასუხი გასცეს ძალებს, რომლებსაც ეთნოკრიზისის პროვოცირება იმპერიის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად მიაჩნიათ. მაგრამ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება ხომ უკვე შეუძლებელია. გვესმის, რა თქმა უნდა, რომ ძალით, რომელიც თქვენ გაქვთ, შეგიძლიათ სცადოთ ჩაახშოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში, მაგრამ როგორი იქნება ამ გამარჯვების ფასი?! და განა ეს გამარჯვება იქნება?!

გამოვთქვამთ რწმენას, რომ თქვენ, პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ, ერთხელ კიდევ ჩასწვდებით ქართველი ხალხის მისწრაფებებს, შეეცდებით გაიგოთ მისი იმ გადაწყვეტილების მთელი სიღრმე და გაქანება, რომ მოიპოვოს ნამდვილი სახელმწიფოებრივი თავისუფლება, დაამყაროს რადიკალურად ახალი ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკებთან და ამ წუთიერ პოლიტიკურ მოსაზრებებს არ ანაცვალებთ მთელი ქართველი ხალხის, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები ხალხების, მათ შორის ოსთა უმრავლესობის ბედს, რომლებიც მზად არიან მხარში ამოუდგნენ თავიანთ ქართველ ძმებს სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსთა უმრავლესობის ნებაა დაამყაროს რეგიონში მშვიდობა და თანხმობა, კვლავაც განავითაროს ეროვნული კულტურა, რისთვისაც სულაც არ არის სავალდებულო ჰქონდეს ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური ოლქი, ან თუნდაც რესპუბლიკა, რასაც ნათლად მოწმობს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება, სადაც ეროვნულ - კულტურული ავტონომიის დონე გაცილებით დაბალია.

რაც უფრო ადრე მიხვდებიან ხელისუფლების საკავშირო ორგანოები, თუ როგორია შიდა ქართლში ნამდვილი ვითარება, და სათანადო პოზიციას დაადგებიან, მით უფრო სწრაფად მოხდება მდგომარეობის სტაბილიზაცია რეგიონში.

საჭიროა სეპარატისტებმა გაიგონ, რომ მათ არ უნდა იქონიონ ცენტრის მხარდაჭერის იმედი და უნდა შეურიგდნენ დამარცხებას.

დარწმუნებული ვართ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.
1991 წლის 12 იანვარი.

ხელისუფლების დერეფნებში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება 1991 წლის 12 იანვარი

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულებამ საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ უაღრესად გაამწვავა მდგომარეობა ქალაქ ცხინვალში. სწორედ ამ ბრძანებულების შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდნენ ოს ტერორისტთა ჯგუფები.

პრეზიდენტის ბრძანებულებით გამხნევებულმა ტერორისტებმა მოაწყვეს რამდენიმე თავდასხმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების საგუშაგოებზე. რის შედეგადაც დაიღუპა 7 და დაიჭრა რამდენიმე ათეული მილიციის თანამშრომელი.

სსრ კავშირის პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულება ერთ-ერთი გამოვლინებაა კრემლის მიერ აღებული კურსისა ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის აღორძინებისაკენ. ცენტრის დიქტატორული პოლიტიკა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა იმ რესპუბლიკების მიმართ, რომლებიც დემოკრატიული წესით არჩეული პარლამენტების ხელმძღვანელობით დაადგნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზას.

სარგებლობს რა სპარსეთის ყურის კრიზისის უკიდურესი გამწვავებით და საქართველოს ტერიტორიის ამ რეგიონთან სიახლოვით, კრემლი, საბჭოთა არმიის დამატებითი ნაწილების შემოყვანით, ფაქტობრივად ამზადებს საქართველოში დიქტატურას — საპრეზიდენტო მმართველობის სახით. ყოველივე ეს გამოიწვევს უკიდურეს დესტაბილიზაციას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიის რეგიონში.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნების ერთადერთი გზა ჩვენ შინაურ საქმეებში ცენტრის ჩაურევლობაა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახელით მოვუწოდებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, მსოფლიოს დემოკრატიულ ძალებს, ხმა აღიმაღლონ კრემლის დიქტატურის ახალი ტალღის წინააღმდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია

* * *

1991 წლის 12-13 იანვრის ღამეს ვილნიუსში საბჭოთა არმიის ნაწილები თავს დაესხნენ ლიტვის ტელეცენტრსა და ქალაქის დაწესებულებებს. მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჯარმა გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი და მძიმე სამხედრო ტექნიკა — საბჭოთა სამხედრო ტექნიკა. საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობამ ქალაქში შემოიღო კომენდანტის საათი. ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა თავდასხმა ტელეცენტრზე, სადაც ესროდნენ უიარაღო ხალხს და სრესდნენ სამხედრო ტექნიკით.

დაუზუსტებელი მონაცემებით, მოკლულია 15-ზე მეტი და დაჭრილია 150-ზე მეტი კაცი. დაკარგულია პრემიერ-მინისტრი შიმენასი. ლიტვის უზენაესმა საბჭომ დანიშნა ახალი პრემიერი ვაგნორიუსი.

ვინაიდან ლიტვის უზენაესი საბჭოს შენობას გარს არტყია ლანდსბერგისის ათიათასობით მომხრე, სამხედრო ნაწილები ჯერჯერობით ვერ ბედავენ შენობის იერიშით აღებას და ცდილობენ სამოქალაქო პირთა შორის შეტაკებების პროვოცირებას. „ლიტვის ეროვნული ხსნის კომიტეტმა“, რომელიც ლიტვის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა, თავი თვითნებურად გამოაცხადა უზენაეს ხელისუფლებად და მოუწოდა თავის მომხრეებს დაიკავონ უზენაესი საბჭოს შენობა და დაითხოვონ პარლამენტი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ლიტველი ხალხისა და მისი კანონიერად არჩეული პარლამენტის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების გამო და სოლიდარობას უცხადებს ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტს.

ლიტვაში მიმდინარე მოვლენები მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირში იმარჯვებენ რეაქციული ძალები, რომელთაც სურთ ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი გმობს ლიტვის სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ სისხლიან აგრესიას და მოითხოვს საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გამოყვანას ლიტვიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი
ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აღნიშნული განცხადება რეზოლუციის სახით ერთად მიიღეს 13 იანვარს მთავრობის სასახლის წინ ლიტვის რესპუბლიკის მხარდასაჭერად გამართული მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეებმა.

სს „საქართველო“

სოლიდარობა მებრძოლ ლიტველ ხალხს

კომუნისტური იმპერიის ქრონიკებში კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი ჩაიწერა. ნახევარსაუკუნოვანი ინტერვალით, ლიტველმა ხალხმა კვლავ იწვნია წითელი არმიის ჟანდარმული სისასტიკე და დაუნდობლობა.

შემთხვევითი არ არის, რომ თბილისისა და ბაქოს შემდეგ, სწორედ ვილნიუსის რიგი დადგა. თავისუფლებისათვის მებრძოლ რესპუბლიკათა შორის, ბალტიისპირელთა ხვედრი ყველაზე მწარეა, რამეთუ კრემლს აქ საიმედოდ უმაგრებს ზურგს მეხუთე კოლონა, რომელსაც ამ დღეებში ახლადგამომცხვარი ე. წ. „ეროვნული ხსნის კომიტეტიც“ შეემატა.

კანონზომიერია ისიც, რომ თვითმარქვია „ეროვნული ხსნის კომიტეტის“ პირველივე აქცია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული და უდანაშაულო ადამიანთა სისხლისღვრით დამთავრდა.

ვილნიუსში მოწყობილმა სასაკლაომ, კიდევ ერთხელ დაგვანახვა, თუ რა მასშტაბის ტრაგედიაა მოსალოდნელი. როდესაც გარე მტერს მხარში ამოუდგება საშინაო რეაქცია. მართალია, ამ სიცრუის ცოტას თუ სჯერა, მაგრამ დღეს, კრემლს შეუძლია ამტკიცოს, რომ არმიას ლიტვის ადგილობრივმა ძალებმა სთხოვეს დახმარება. ამიტომაც უნდა იქცეს ლიტველი ხალხის უბედურება მწარე გაკვეთილად თავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა ხალხისათვის.

ითვალისწინებს რა უკანასკნელი დღეების მოვლენებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, კვლავ ერთობისაკენ მოუწოდებს ქართველ ხალხს, რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას. ლიტვის ტრაგედია იმის ილუსტრაციაა, თუ რა დიდ იმედს ამყარებს ცენტრი საკუთარი ხალხისა და ქვეყნის მოღალატეებზე, ერთ მიწაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის შუღლის გაღვივებაზე, პროვოკაციებზე.

კიდევ ერთხელ უცხადებს რა ძმურ სოლიდარობას თავისუფლებისათვის მებრძოლ ლიტველ ხალხს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საჯაროდ აცხადებს, რომ იგი ამჟამად და მომავალშიც სცნობს მხოლოდ და მხოლოდ ერთ — კანონიერ, დემოკრატიული გზით არჩეულ ლიტვის პარლამენტსა და მთავრობას, მიუხედავად იმისა, თუ სად დაუდებს მას ბინას ბედის უკუღმართობა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.

საკუთარ სახლში

ლიტვასთან სოლიდარობის მიტინგი

ლიტველ ხალხთან და მის პარლამენტთან სოლიდარობის მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა 13 იანვარს თბილისში, მთავრობის სახლის წინ. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტარები, კონგრესმენები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მიტინგის მონაწილეებმა, წუთიერი დუმილით სცეს პატივი იმათ ხსოვნას, ვინც 12 იანვარს ღამით გახდა ვილნიუსში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღისა და მძიმე სამხედრო ტექნიკის გამოყენების მსხვერპლი.

მიტინგზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აკაკი ასათიანმა, პარლამენტის წევრებმა თეიმურაზ ქორიძემ, გურამ პეტრიაშვილმა, ნოდარ ნათაძემ, თბილისში მცხოვრებმა ლიტველმა ვირგინია ივინსკაიტემ, რესპუბლიკის სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გადაჭრით დაგმეს ლიტვის დემოკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ უხეში სამხედრო ძალის გამოყენება.

მომხდარი ამბები, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, მოწმობს, რომ რეაქციული ძალები გადავიდნენ აშკარა შეტევაზე, ცდილობენ ჩაახშონ ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. თავიანთი მოქმედების მომენტი მათ შემთხვევით როდი შეარჩიეს— იმედს იმაზე ამყარებენ, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია სპარსეთის ყურეში შექმნილ კრიზისზე. მაგრამ ის, ვისაც ადამიანებისათვის სისხლი და ტანჯვა მოაქვს, დაუსჯელი ვერ დარჩება. ამას უკვე, მოწმობს პირველი რეაქცია მსოფლიოში და უდიდესი მხარდაჭერა, რომელსაც ლიტვის პარლამენტს უცხადებენ დემოკრატიული ძალები საბჭოთა კავშირში.

შექმნილ პირობებში, განსაკუთრებით საჭიროა კონსოლიდაცია ხალხის მიერ არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს გარშემო. ეროვნების მიუხედავად, ყველა როგორც ერთი, უნდა შეკავშირდეს შეტევაზე გადმოსული რეაქციის წინაშე, რომელმაც საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი. მხოლოდ ასე შეიძლება წინაღვუდგეთ მას, ვიხსნათ დემოკრატია და განვაგრძოთ ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა მოიწონეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება ლიტვის ამბებთან დაკავშირებით. მისი ტექსტი მიიღეს მიტინგის რეზოლუციად.

პაატა არჩვაძე
სს „საქართველოს“ კორ.

მიმართვა ლიტველ და ქართველ ხალხებს

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აუწყებს სრულიად საქართველოს, რომ ლიტველი ხალხის ამ უკიდურესი განსაცდელის ჟამს იგი მის გვერდით დგას, თანაუგრძნობს მას და ღვთიურ გამძლეობას უსურვებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ საბედისწერო ეტაპზე.

ამავდროულად, საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმაზე მდგარი ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციას, რომელმაც ავ საქმეთა განსახორციელებლად ხელ-ფეხი გაუხსნა იმპერიულ, დესტრუქციულ, ეროვნული აღორძინების ჩამხშობ ძალებს.

ჩვენ დაბეჯითებით ვაცხადებთ ლიტველი და ქართველი ხალხების წინაშე, რომ ფუჭია და უნიადაგო მავანთა და მავანთა შეძახილები იმ ვითომდა არსებული საშიშროების გამო, თითქოს, იმპერიული ძალები საქართველოს დამოუკიდებელ კომპარტიაში იპოვნიანო საყრდენს.

იცოდნენ და ღრმად სწამდეთ ქართველ და ლიტველ ხალხებს, რომ საქართველოს დამოუკიდებელ კომპარტიაში პირველი აღუდგება მკერდით იმპერიის მზაკვრობას და პირველივე ააშორებს ჩვენს ხალხს ყველა განსაცდელს თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის გზაზე.

ჩვენ მოვუწოდებთ სრულიად საქართველოს, ნუ აჰყვება ნურავითარ პროვოკაციას, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, რომელიც დაკავშირებული იქნება საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის მაღალი ეროვნული პოზიციის დისკრედიტაციის ცდებთან. საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია მტკიცედ გამოხატავს თავის შეუვალ ეროვნულ ნებას და კვლავ არწმუნებს ყველას, რომ მისი ყველა სიტყვა ეროვნული თავისუფლებისა და აღორძინების საქმეში განივთდება.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
ავთანდილ მარგიანი

დეპეშა პრეზიდენტს

9 იანვარს გაიმართა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სხდომა, რომელმაც საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს გაუგზავნა საპროტესტო დეპეშა...

„1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით თქვენ საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკას ართმევთ წმინდა უფლებას დაიცვას თავისი ხალხის სიცოცხლე და თავისი ტერიტორიის მთლიანობა.

დაინახეს რა თქვენს ბრძანებულებაში თავისი სამართალსაწინააღმდეგო მოქმედების მხარდაჭერა, ოსი სეპარატისტების შეიარაღებულმა ფორმირებებმა კვლავ დაღვარეს ქართველთა სისხლი.

თქვენი ბრძანებულებით თქვენ სამსხვერპლოდ გასწირეთ ის ქართველი და ოსი მოსახლეობა, რომელსაც მშვიდობიანი ცხოვრება სურს.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება გიცხადებთ პროტესტს.

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულია და ძალუძს კიდეც თავისი ძალებით დაამყაროს წესრიგი რესპუბლიკაში.

ნებისმიერი სხვაგვარი გადაწყვეტა საკითხისა, შეფასებული იქნება როგორც საქართველოს მთელი მოსახლეობის უფლებათა დარღვევა, რაც გაუთვალისწინებელ შედეგებს გამოიწვევს.

დრო კიდევ არის.

გააუქმეთ ბრძანებულება.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება.

მთავრობის მოამბე

შეიქმნა ეროვნული თავდაცვის ფონდი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დააკმაყოფილა რესპუბლიკის მოსახლეობის, საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების შრომითი კოლექტივების თხოვნა და შექმნა საქართველოს ეროვნული თავდაცვის ფონდი.

სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკს დაევალა გახსნას შესაბამისი ანგარიშები დაქვემდებარებულ განყოფილებებში. რესპუბლიკის შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ ამ ანგარიშებზე ჩარიცხული თანხა ყოველთვიურად გადაირიცხება აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველოში გახსნილ ანგარიშზე.

ამ ფონდის სახელზე ამ ბანკის ყველა რაიონულ და საქალაქო განყოფილებაში, უკვე გახსნილია მე-700 ანგარიში.

სს „საქართველო“.

შიდა ქართლი

მდგომარეობა ცხინვალში

ბოლო სამი დღის განმავლობაში საგანგებო მდგომარეობის რაიონში ვითარება კვლავ დაძაბული იყო. 12 იანვარს ღამით საქართველოს მილიციამ ჯავშანტრანსპორტიორებით დაიწყო ქალაქ ცხინვალის სხვადასხვა რაიონში აგებული ბარიკადების დაშლა, რის გამოც ექსტრემისტებმა ცეცხლი დაუშინეს მათ. მილიციამ ასევე ცეცხლით უპასუხა. შეტაკებაში დაიჭრა თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომელი, მილიციის მაიორი ალექსი სუბოტინი.

13 იანვარს საღამოს კომენდანტის საათის დადგომის შემდეგ თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტთა ჯგუფს, რომლებსაც ავტობუსით სურსათი მიჰქონდა სოფელ თამარაშენის მოსახლეობისათვის, თავს დაესხა ოს ექსტრემისტთა რაზმი. მათ ჯერ ხელყუმბარა ესროლეს ავტობუსს, შემდეგ კი ავტომატებით დაცხრილეს. ავტობუსმა დაკარგა მართვა და გადაბრუნდა. მილიციის სკოლის კურსანტებმა საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს თავდამსხმელებს. ამ დროს აქ მოვიდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ნაწილის ჯავშანტრანსპორტიორი, რომელმაც ჰაერში ისროლა. ამის შემდეგ ექსტრემისტები მიიმალნენ. კურსანტთა შორის არ არიან დაჭრილები და მოკლულები.

14 იანვარს დილით ცხინვალში შედარებით სიმშვიდე იყო.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი პრესცენტრის უფროსმა ალექსანდრე როსტოვცევმა, რომელიც ცხინვალში იმყოფება, ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ცნობა, რაც ქვეყნდება საკავშირო პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში და რომლის ავტორობასაც მიაწერენ დროებით პრესცენტრსა და სსრ კავშირის შსს შინაგანი ჯარების ოპერატიულ ჯგუფს, ჩვენ არ მიგვიწოდებია მათთვის. მაგალითად, ჩვენ არ მიგვილია ცნობები იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთა შორის არის უთანხმოება, რომ თითქოს ზოგიერთი მათგანი შეცდომად თვლის მილიციის დამატებითი ძალების შეყვანას ცხინვალში, ჩვენ არ მიგვილია აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, თითქოს ცხინვალს ტოვებენ საქართველოს მილიციის ნაწილები.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.
სს „საქართველო“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცხინვალში საქართველოს მილიციის მუშაკების

გურამ გიორგის ძე კევლიშვილის
ტარიელ პოლიკარპეს ძე ყოპალეიშვილის
სევერიან აბესალომის ძე თევზაძის
ზურაბ ზურაბის ძე გოგიჩაიშვილის
ვლადიმერ ალექსის ძე ლობჟანიძის

ტრაგიკული დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს მათ ოჯახებს. დაღუპულთა დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 54 წლისა უეცრად გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ალექსანდრე დიმიტრის ძე ალექსიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

შეიქმნა ა. დ. ალექსიძის დამკრძალავი კომისია ნ. ს. ამაღლობელის თავმჯდომარეობით.

ა. დ. ალექსიძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 15 და 16 იანვარს, 7 საათზე განსვენებულის ბინაში (საბურთალოს ქ. № 40, პირველი კორპუსი); გამოსვენება 17 იანვარს 2 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყიდება საქართველო

ეგრეთწოდებული „საქსახაგრომრეწვის" მმართველი გურამ მგელაძე დიდი ხნის განმავლობაში ატარებდა ანტიქართულ აგრარულ პოლიტიკას, რაც გამოიხატებოდა ქართველი გლეხობის შევიწროებაში და არაქართველთა პრივილეგირებაში. აგრომრეწვის კორუპცია საყოველთაოდ ცნობილია, ცნობილია აგრეთვე ის, რომ მისი წყალობით სულ უფრო და უფრო მეტი აზერბაიჯანელი დაეუფლა იჯარით ქართულ მიწას. ამის თვალსაჩინო მაგალითია გურამ მგელაძის მიერ აფხაზეთის აგრომრეწვის მმართველად ეროვნებით სომეხი პირის დანიშვნა და „მფარველი კალთის" გადაფარება სოფელ ლისისა და აგარაკის მიდამოებში უკანონო დასახლებებისათვის. როდესაც დამტკიცდა, რომ აზერბაიჯანელებს მიტაცებული ჰქონდათ ეს მიწები, სადაც მათ უკანონოდ ჩადგეს სახლები, ადმინისტრაციული ორგანოები იძულებული გახდნენ შეედგინათ გეგმა ამ სახლების აღებისა, მაგრამ გურამ მგელაძემ, როგორც ჩანს „ზევიდან" მითითებით იჯარით გაუფორმა ყველას მიტაცებული მიწა, რითაც სამუდამოდ დაამკვიდრა ისინი ქართულ მიწაზე.

კომუნისტ ხელისუფალთა ამგვარ უკანონო და ანტიქართულ მოქმედებებს წინ აღუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მგელაძე და მისი მაფია არაერთგზის იქნენ მხილებულნი, რასაც მოჰყვა მგელაძის განთავისუფლება თანამდებობიდან, მაგრამ ბოროტება, მგელაძის მიერ დათესილი, კვლავ ძალაშია. ვაქვეყნებთ დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ აგრომრეწვის უშუალოდ მონაწილეობას ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართულ ამ დანაშაულებრივ მოქმედებაში. რაც გამოიხატა სისხლით მორწყული ქართული მიწის სხვა ეროვნებების მოსახლეობისათვის დარიგებაში.

როცა საღათას ძილით გვეძინა

მუხას მუმლი ეხვეოდა და საქართველოსაც ბლომად დაეხვია უცხო ჯილაგის მომხდური. დუშმანი მშვიდობიანი მისიით მისხალ-მისხალ კი არა ჰექტარ-ჰექტარ და მასივებად იგდებდა ხელთ მამა-პაპათა სისხლით ნაპოხ ქართულ მიწას. ისინი გაპარპაშდნენ, მიწის ნამდვილი პატრონი კი შევიწროვდა, დაკნინდა, ზოგის ცხოვრება ისე გაჭირდა, აიყარა მშობლიური ადგილიდან და უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენ.

სცოდავდა მაშინ ყველა: დაწყებული რიგითიდან, თვით უმაღლესი რანგის მუშაკებიც კი. ზოგიერთს „მცირე რამ ძღვენი" უბრმავებდა თვალს, ზოგ-ზოგნი ყალბი ინტერნაციონალიზმით იყვნენ გაბანგული. ერთი სიტყვით, ჩვენ საღათას ძილით გვეძინა, მოძალადე კი სახლში შემოგვიჭრა და მერე თავად მოგვევლინა მასპინძლად და ბოლოს შინიდან გაგდებაც კი დაგვიპირა. ბნელი ზრახვების ასრულებაში მტერს ვინც მხარში ედგა, სამწუხაროდ, ბევრი დაუსჯელი დარჩა. მოგვითხრობთ ვინ იყვნენ ისინი და მფარველნი მათნი.

ბოლნისელი ჰეროსტრატე

ნებივრად დაიბიჯებს ბოლნისში კაცი მიწაზე, რომელსაც ქართული სისხლი ჯერაც არ შეშრობია. სულაც ვერ გრძნობს, რა მახვილი ჩასცა მამულს მკერდში. მართალია, სახელის მაძიებელს ჰეროსტრატესავით მონასტერი არ გადაუწვავს, მაგრამ წინაპრის მიერ დაცულ-ნალოლიავები ქართული მიწა უხვად ურიგა მათ, ვისი წინაპარიც ცეცხლითა და მახვილით მოიწევდა წასაგლეჯად. ეცემოდა ქართველი, მაგრამ მტერს მიწის მტკაველსაც არ უთმობდა.

ჩაჯდა ზაურ წაქაძე ბოლნისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის სავარძელში და საკუთარი მოწადინებით და სხვათა დახმარებით მიაღწია ათობით ჰექტარ სამოსახლო მიწის გამოყოფას ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მაშინდელმა ყოვლით აღჭურვილმა მესვეურებმა არავის და არაფერს ანგარიში არ გაუწიეს და 1979 წლის ოქტომბრის ერთ მშვენიერ დღეს ხელის ერთი მოსმით საკარმიდამო ფონდი გამოყვეს ცხვრის გადასარეკ ტრასაზე?! აქედან გაშალა თავისი „შემოქმედება" წაქაძემ, მიწები ძირითადად მეზობელი სოფლებიდან და რაიონებიდან ჩამოსულ არაქართველებს დაურიგა, იშვიათად გამოერივნენ ქართველებიც, მაგრამ მათმა უმრავლესობამაც ვერ გაუძლო მოხვეჭის ცდუნებას და ნაკვეთები ფულად აქცია. სარფიანი მყიდველები ისევ აზერბაიჯანელთა შორის გამონახეს.

ჰეროსტრატეს ბოლნისელი მიმდევარი ცინიზმის ჩინებული ოსტატიც აღმოჩნდა. ყველას, ვისაც ნაკვეთის გამოყოფის სათანადო საბუთს გადასცემდა, რჩევასაც მიაყოლებდა: გაძლევ იმ პირობით, რომ ახალდასახლებას მამაჩემის სახელი ანდრია უნდა დაერქვასო. მოგეხსენებათ, რუსული იმ ხანად რა მოდაში იყო და მართლაც გაჩნდა ბოლნისში ახალი, ტოპონიმი „ანდრეევკა". ბოლნისელები ახლაც იგონებენ, რომ ქალაქის მესვეურთ ერთხანს ფირნიშიც კი გაუკრავთ, რომელიც ამ უბანს მიანიშნებდა. ხუმრობამ ნამდვილი სახე მიიღო, ერთხელ წაქაძისათვის უთქვამთ, მამაშენთან ერთად შენი სახელიც ღირსია უკვდავყოფისო და დასახლების ერთ ნაწილს ბორმანოვკას დავარქმევთო (ბორმანი მისი ზედმეტი თუ შინაური სახელი ყოფილა), ახლა ბოლნისში ასე დაგისახელებენ ამ უბნებს, იგი არაოფიციალური ტოპონიმია, მაგრამ საკმაოდ პოპულარული. ნურც გავუმტყუნებთ ასეთ ადამიანებს, ვიგინდარების დრო იყო. გესმით? კიდევ კარგი ანდრიაწმინდა ან ზაურწმინდა არ დაარქვა, ისე ანდრეევკა და ბორმანოვკა ხომ მაგრად ჟღერს.

ასე შემორჩა მატიანეს ეს სასაცილო კი არა, სატირალი ამბავი. მის გმირს კი ნიავიც არ მიჰკარებია, მხოლოდ აუგი კაცის საძრახისი სახელი დაიმკვიდრა. ახლა ის იცინის, იცინის და კვდება სიცილით, ისტორიული საქმე გავაკეთეო, ის მიწები რომ არაქართველებისათვის არ მიმეცა, ის ბროლის კოშკებიც არ აშენდებოდა, რომელიც ახლა ქართველებს დარჩაო. სანთელ-საკმეველი მაინც გაიკვლევს გზას: ეთნოკრიზისის შემდეგ აზერბაიჯანელებმა სახლები ერთიანად გაყიდეს, მერაბ კოსტავას ფონდის საშუალებით იგი მართლაც ჩვენმა უბინაო მოქალაქეებმა შეიძინეს, მაგრამ ეს მხოლოდ უბედური თუ ბედნიერი შემთხვევის შედეგია. უბედური იმიტომ, რომ ჩამოწვა ზვავები, მეწყერი სვანეთსა და აჭარაში და მრავალი ოჯახი დარჩა უსახლკაროდ. დაიწყო სასურველი პროცესიც, ყველა ჯილაგი უბრუნდება წინაპართა კერას. ეს ბედნიერებაა.

განზებ ჩაშლილი კოლეგიის სხდომა

მიწის ბუმი აზვირთდა, გადალახა ყოველგვარი საზღვარი, ბოლოსდაბოლოს ქართველობა გამოერკვა საღათას ძილიდან, წინ აღუდგნენ დამღუპველ პროცესს. თითქოს საქსახაგრომრეწვშიც გამოიღეს ხელი; აფრინეს ადგილებზე სპეციალისტები, შეისწავლეს მდგომარეობა. ცხადია, ბევრი დანაშაული მიიჩქმალა, მაგრამ გამოვლენილმაც მოლოდინს გადააჭარბა. მეტი რა ჩარა იყო, გადაწყდა საკითხის კოლეგიაზე განხილვა. მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის მთავარი სამმართველოს მუშაკებმა დიდი მუშაობა გასწიეს, ბრძანებაც კი „გამოაცხვეს". როგორც დაინტერესებული პირი, ამ მასალებს პირადად გავეცანი და მერე იგი ჩემი არქივის საკუთრება გახდა. მოთმინებით ველოდი, როდის იმსჯელებდა მასზე კოლეგია, მაგრამ ამაოდ. დავრეკე ერთხელ აგრომრეწვში და მითხრეს: ახლა დრო არ არის, საკავშირო პარტყრილობა უნდა ჩატარდეს, მორჩება თუ არა, მაშინვე განვიხილავთო. ყრილობის შემდეგ მომიმიზეზეს — ახალი წლის წინა დღეებია, არ ღირს ხალხს გუნება გავუფუჭოთო, მერე ახალი წლის პირველი დღეები იყო, მერე ლენინის გარდაცვალების დღე და სისხლიანი კვირა, მერე 25 თებერვალი და 8 მარტი, ლენინის დაბადების დღე, პირველი მაისი... ერთი სიტყვით, „დღესასწაულებს" რა გამოლევდა. საკითხი განუხილავი დარჩა, დამნაშავენი — ხელუხლებელი. ცხადია, ამ საქმეში პასუხისმგებლობა მთლიანად რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს გურამ მგელაძეს ეკისრება.

ახლა ისღა დამრჩენია, მკითხველის წინაშე გამოვიდე აღსარებით და მოვახსენო, თუ როგორ დააფარეს ხელი დამნაშავეებს, როგორ გადაარჩინეს ისინი განსაცდელს. მივყვები ჩემს ხელთ არსებულ კოლეგიისათვის შედგენილ ბრძანების ტექსტს. წინასწარ ვიცი, შემომიდავებიან, განხილვამდე იგი დოკუმენტად არ ჩაითვლებაო, მაგრამ ფაქტებს და სინამდვილეს სადღა გაექცევიან. ის ხომ მათი ხელით არის შედგენილი, ბრძანების პროექტში ჩაწერილია:

გარდაბნის რაიონის ყარაჯალარის მებოსტნეობის, ალთალის, გაჩიანის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები ქ. მამედოვი, ი. ბაირამოვი და, მ. სადიკოვი განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო უკანასკნელის შესახებ მასალები გადაეცეს რესპუბლიკის პროკურატურას იმის გამო, რომ მოქალაქეთა დიდ ჯგუფს გამოუყვეს დიდძალი მიწის ფართობი დროებითი სარგებლობისათვის, მაგრამ შემდეგ აღარ დააწესეს სათანადო კონტროლი და საშუალება მისცეს მათ მიტაცებულ მიწებზე აეგოთ საცხოვრებელი სახლები. ამ პროექტით სასტიკი საყვედური უნდა გამოეცხადებინათ ქაფანახჩის საბჭოთა მეურნეობის დირექტორ ვ. ყამბაროვისათვის, რომელმაც სარწყავ მიწებში გამოუყო მოქალაქეებს ფართობი და რომელსაც ევალებოდა 10 დღეში ამ ფართობის გათავისუფლება და მეურნეობისათვის დაბრუნება. ულიანოვკის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორის თ. დანელიასათვის, რომელიც ამჟამად თბილისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის დირექტორად მუშაობს და „რომლის ხელშეწყობით 37 საცხოვრებელი სახლი გაიყიდა არაქართველ მოსახლეობაზე და თითოეულ მათგანს გამოეყო 0,15 ჰექტარი მიწა, ხოლო 1981 წლის ბოლოს შეუვსო თითოეულს 0,25 ჰექტარამდე", გათვალისწინებული იყო თანამდებობიდან მოხსნა და პასუხისგებაში მიცემა. რესპუბლიკის პროკურატურას უნდა გადასცემოდა აგრეთვე სართიჭალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ბ. მუხიაშვილის საქმე, რომლის უპასუხისმგებლობით 43 საცხოვრებელი სახლი გაიყიდა არაქართველ ოჯახებზე და რომელმაც არაფერი იღონა 309 ოჯახისათვის ზედმეტად გამოყოფილი 45 ჰექტარი, ხოლო სოფელთან კავშირგაწყვეტილ 232 პირისათვის 52 ჰექტარი მიწის ჩამოსართმევად. სამუშაოდან უნდა მოეხსნათ ყარათალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ტ. ახმედოვიც, რომელმაც 1988 წელს დროებითი სარგებლობისათვის გამოყოფილი ორ ჰექტარამდე მიწა კანონის უხეში დარღვევით გადასცა 17 მოქალაქეს.

მარნეულის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილმა დირექტორმა ნ. სინჯიაშვილმა უკანონოდ გამოუყო მოქალაქეებს ნაკვეთები, რომლებშიც კაპიტალური სახლები აშენდა, უცხო ხალხს დაატაცებინა თუთის პლანტაციები, მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის ზ. იმანოვას არაკანონიერი მითითების საფუძველზე ათობით მოქალაქეს კანონის უხეში დარღვევით დაურიგა ნაკვეთები და იქაც საცხოვრებელი სახლები აშენდა. „განთავისუფლდეს მარნეულის აგროლაბორატორიის გამგის თანამდებობიდან და მასალები გადაეცეს რესპუბლიკის პროკურატურას", — ვკითხულობთ პროექტში მის შესახებ.

სამუშაოდან გათავისუფლება და პასუხისგებაში მიცემა ელოდა ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს მ. კოკორაშვილს, რადგან ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მისი მუშაობის პერიოდში დატაცებულ იქნა რამდენიმე ჰექტარი მიწა, ხოლო სოფელთან კავშირგაწყვეტილი 200-ზე მეტი ოჯახი უკანონოდ ფლობდა 36 ჰექტარ ფართობს, ყოველგვარი ნებართვის გარეშე აშენდა 157 სახლი.

პროკურატურას უნდა გადასცემოდა აგრეთვე ცხინვალის რაიონის ვანათის მეცხოველეობის კომპლექსის ყოფილი დირექტორის ვ. ლოლოევის საქმე, რომელმაც თვითნებურად შეცვალა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება და დამეწყრილ ოჯახებს სულ სხვა ადგილზე გამოუყო საზოგადოებრივი სახნავი მიწა. ამას გარდა ორ ისეთ ოჯახს მისცა ნაკვეთები, რომლებიც ჩამოსახლებას არ ექვემდებარებოდნენ. უხვად დაასაჩუქრა აგრეთვე ქ. ცხინვალში მცხოვრები 9 ოჯახი და თითოეულს გამოუყო 1500 კვადრატული მეტრი სამოსახლო ნაკვეთი, რომლებზეც აშენდა უპროექტო სახლები.

პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე გორის რაიონის ქვეშის სანერგე, ნიქოზის მეთესლეობის, ახრისის სამეურნეობათაშორისი მევენახეობის, ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების, დიცის, ბერშუეთის კოლმეურნეობების ყოფილ მესვეურთა ნ. ეცადაშვილის, რ. გურიანის, დ. მინდიაშვილის, გ. ტატიშვილის, რ. დოთიაშვილის, ვ. ბასილაშვილის, დ. გოგიაშვილის, ა. ფიჩხნარაშვილის, ა. დემეტრაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, ამ მეურნეობათა ამჟამინდელი მეთაურების დასჯას, რომლებიც ფაქტობრივად არაფერს ცდილობენ წინაპართა მიერ დაშვებული დარღვევების აღსაკვეთად.

დარღვევები და დანაშაულობანი ფართოდ გავრცელებული სენია ზნაურის რაიონში. ქვათეთრის საბჭოთა მეურნეობის ყოფილმა დირექტორმა ე. კვალიძემ, რომელიც ქ. ცხინვალის მუდმივი მცხოვრებია, პირველ რიგში საკუთარ თავზე იზრუნა და 0,25 ჰექტარი ჩინებული ნაკვეთი გამოიყო, თუმცა არც ამას დასჯერდა, 0,17 ჰექტარი კიდევ მიითვისა და საცხოვრებელი სახლიც აიშენა. არც სოფელთან კავშირგაწყვეტილი იმ 80 ოჯახის მიმართ მიიღო ზომები, რომლებიც ძველებურად ფლობდნენ ნაკვეთებს.

ერთპიროვნულად, თავისი ნებასურვილით უყოფდნენ ნაკვეთებს ველების საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორები მ. ფუხაევი, ვ. ფუხაევი, ზ. კოზაევი, თავადაც მიიტაცეს მიწა. მიწები დიდი რაოდენობით დაიტაცეს მოქალაქეებმა ავნევის კოლმეურნეობაში, როცა მის თავმჯდომარედ მუშაობდა რ. გაბარაევი. ვ. სიქტურაშვილის თავმჯდომარეობის დროს ცხინვალის ავტოტექმომსახურების ფილიალის გასახსნელად აქ ისე გამოიყო მიწის ნაკვეთი, არავისთვის არაფერი უკითხავთ. მუგუთის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის ა. ბესტაევის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ მრავალ მოქალაქეს, მათ შორის ქალაქში მცხოვრებლებსაც, კანონის დარღვევით გამოუყო ნაკვეთები, თვალი დახუჭა, როცა მოქალაქეთა ჯგუფმა 3 ჰექტარამდე მიწა დაიტაცა, ან კი ვის რას ეტყოდა, როცა ცხინვალში მცხოვრებ თავის ქალიშვილს 0,32 ჰექტარი მიწა მიაკუთვნა.

საკმაოდ გრძელია ზნაურელ დამნაშავეთა სია: მიწებს უხვად ურიგებდნენ სასურველ პირთ თერეგვნის კოლმეურნეობის, ბალთისა და ზნაურის მეცხოველეობის, ნულის მეხილეობის, ბეყმარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ყოფილი მესვეურები ა. გუბაევი. ა. გაგოევი, ი. გაბარაევი, რ. ალბოროვი, დ. კოზაევი, რომლებიც აღნიშნული პროექტის მიხედვით მიცემული უნდა ყოფილიყვნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, სათანადოდ უნდა დასჯილიყვნენ მათი მემკვიდრენიც: ჯ. კოზაევი, ფ. ჯიოევი, ა. ჭამპურიძე. სამუშაოდან გათავისუფლება იყო გათვალისწინებული ნულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომის ა. პეტრიაშვილისათვის, რომელმაც ასიამოვნა თავის დირექტორს ლ. ალბოროვს და საკუთარი ბრძანებით უკანონოდ მიაკუთვნა მიწის ნაკვეთი, ხოლო შემდეგ თავადაც მიითვისა ჩინებული ნაკვეთი. სასჯელი უნდა მიეღო ბალთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ა. გაგოევსაც, რადგან მანაც არა იღონა რა მიტაცებული მიწების მეურნეობისათვის დასაბრუნებლად.

პროექტი ავალებდა აგრეთვე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტს ზნაურის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის ვ. ბასიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას, რომელმაც რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში არ მიიღო ზომები მიწის კანონმდებლობის უხეში დარღვევების აღმოსაფხვრელად. რატომღაც კოლეგიაზე არ იყო გათვალისწინებული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის გ. ბაზაევის საკითხის რესპუბლიკის პროკურატურისათვის გადაცემა. ცხინვალში მცხოვრები გ. ბაზაევი, რომელმაც უხეშად გამოიყენა თანამდებობა და რომელსაც ბეყმარის საბჭოთა მეურნეობის ყოფილმა დირექტორმა დ. კოზაევმაც ასიამოვნა, მეოთხედ ჰექტარ ფართობს დაეპატრონა. ასე „დაიცვა" სამართალი სამართლის დამცველმა.

საქაგრომრეწვის კოლეგიის მორიგ სხდომას, ცხადია, კომპლექსური შემოწმების შედეგები უნდა განეხილა. სამწუხაროდ მაგალითები იყო მოყვანილი ოზურგეთის რაიონიდანაც. გულუხვობას იჩენდნენ სხვის ხარჯზე ბაილეთისა და ლიხაურის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ა. მეხუზლა, ა. ხოხლენკო. პროექტით ოზურგეთის რაიაგროსამრეწველო გაერთიანებას ევალებოდა ერჩია კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებისათვის მეხუზლა გადაერჩიათ კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან და განეხილათ ხოხლენკოს პასუხისმგებლობის საკითხი, ამგვარი დარღვევებისათვის სამუშაოდან უნდა გაეთავისუფლებინათ ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. მალაზონიაც. ქარელის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებას ურჩიეს განეხილა ქარელისა და აბისის კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეების ქ. სამნიაშვილისა და გ. ბრეგვაძის პასუხისმგებლობის საკითხი, მოხისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ა. ტაბატაძისათვის უნდა გამოეცხადებინათ საყვედური.

წყალი სათავიდან იმღვრევა

სამწუხაროდ, ეს საკმაოდ სქელტანიანი, 42-გვერდიანი ბრძანების პროექტი, როგორც მოსალოდნელი იყო, დარჩა მაუდქვეშამოდებული, „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ჩვენც ამაოდ როდი გავრჯილვართ. საკითხი ასე დაწვრილებით იმიტომ აღვწერე, რომ მკითხველი ერთხელ კიდევ დარწმუნდეს: საქაგრომრეწვის ხელმძღვანელობა როგორ აფარებდა ხელს ბოროტ დამნაშავეებს, ფაქტობრივად ეფოფრებოდა და იცავდა მათ. და მაინც რატომ ხდებოდა ასე? ამ ვაჟბატონებს ლომის წილი ედოთ დანაშაულში. არავინ იფიქროს, რომ მიწების გამოყოფა ხდებოდა მათი სანქციის გარეშე. რაც მთავარია, აგრომრეწვის სპეცსამსახურის მუშაკები სისტემატურად ამოწმებდნენ რაიონებს ამ მხრივ, მაგრამ ჩქმალავდნენ დანაშაულს, არ იღებდნენ გადამწყვეტ ზომებს მათ შესახებ. ადგილი ჰქონდა აგრომრეწვის ხელმძღვანელთა თვითნებურ, ერთპიროვნულ ჩარევასაც მიწის საკითხების გადაწყვეტაში. გაკვირვებას იწვევს 1989 წლის 6 ივნისით (№ 2119) დათარიღებული ერთ-ერთი წერილი, რომელიც ჩემს არქივში მეორე წელია ინახება. მას ხელს აწერს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ო. ცომაია. როგორც წერილიდან ირკვევა, აგრომრეწვში შესულა ბოლნისის რაიონის სოფელ ჯაფარლოს მცხოვრებთა საჩივარი, რომლებიც ითხოვდნენ მიწის ნაკვეთების გამოყოფას. იგი შეუმოწმებიათ საქაგრომრეწვის მუშაკებს ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომის, ბოლნისის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებისა და ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად (ჯაფარლო ამ მეურნეობაში შედის). გამოირკვა, რომ მოქალაქეთა ნაწილს, რომლებიც ხელს აწერენ კოლექტიურ განცხადებას, ნაკვეთები ჰქონიათ, ნაწილი არ მუშაობდა მეურნეობაში და მათთვის ნაკვეთების გამოყოფა არ შეიძლებოდა. მომჩივანთა ერთი ჯგუფის მშობლები კი ფლობენ ნორმით გათვალისწინებულზე დიდ ნაკვეთს. „ხელმძღვანელობთ რა ზემოთაღნიშნულით და მხედველობაში ვიღებთ, რომ ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას არ აქვს თავისუფალი საკარმიდამო ფონდი, — წერს ო. ცომაია, — ხოლო სოფელი ჯაფარლო ინტენსიური სარწყავი მიწათმოქმედების ზონაშია, სადაც მიწის კანონმდებლობით დადგენილი ნორმები სანახევროდ მცირდება, შესაძლოდ მიგვაჩნია განმცხადებლები დავაკმაყოფილოთ მათი მშობლების ნაკვეთების ხარჯზე" (დააკვირდით, საით არის გამიზნული ეს ყოველივე: განმცხადებლებს ამით უფლება ეძლევათ ამ ნაკვეთებზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობა გააჩაღონ). უფრო გაკვირვებას იწვევს შემდეგი სტრიქონები: „მოქალაქე ალადინ აბდულაევი (ერთ-ერთი განმცხადებელი) შეიძლება დაკმაყოფილდეს 0,10 ჰექტარი ფართობით ნაკვეთის ხარჯზე, რომელიც ამ განყოფილებაშია. მოქალაქე ავთანდილ ახმედოვის საკითხი პერსონალურად იქნეს განხილული და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობას და აღმასკომს ეთხოვოს დადგენილი წესით წარმოადგინონ მასალა საზოგადოებრივი მიწებიდან საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფის შესახებ" (სტილი დაცულია, მხოლოდ ტექსტი ნათარგმნია რუსულიდან. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში რუსულს თუ რა გასავალი ჰქონდა, ამ მხრივ აგრომრეწვი სხვას ხომ არ დარჩებოდა ვალში). ეს ფაქტი კომენტარს არ საჭიროებს, ვინ მისცა უფლება მიწაზე ასეთი კატეგორიული დირექტივის მიცემისა ბატონ ცომაიას?

აქვე დავამატებთ იმასაც, რომ ალბათ, ამ დოკუმენტს მეტი ძალა რომ ჰქონოდა, ცომაიამ თავში მიაწერა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში", თუმცა ბლანკი აგრომრეწვს ეკუთვნის, ბოლოს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირიც მიუთითა. აი, როგორი თავგამოდებით იღწვოდნენ ვაიხელმძღვანელები, რათა უცხო ჯილაგისათვის არაფერი ეწყენინებინათ.

რესპუბლიკის აგრომრეწვის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ლუდვიგ ღურწკაიასაც ბევრი შეეძლო ეღონა მიწათსარგებლობაში წესრიგის დამყარებისათვის. მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, მას აღარ გააჩნდა სამისო მორალური უფლება. ხალხს ვერ მოატყუებ, ხალხმა ყველაფერი იცის. კომპარტიის გაგრის რაიკომის პირველ მდივნად მისი მუშაობის დროს ზღვისპირეთის ამ წალკოტში მრავალი სომხური, რუსული და სხვა არაქართული ოჯახი დასახლდა — ზოგი თვითნებურად, ზოგმა მიწა იყიდა, ზოგმა ქრთამით მიიღო, საგრძნობლად გაუარესდა რაიონის დემოგრაფიული ვითარება. მომხდურები საუკეთესო ადგილებს იგდებდნენ ხელში. ეს ფაქტი საქართველოში ბავშვმაც იცის, ამის შესახებ წერდნენ რესპუბლიკური და საოლქო გაზეთები. გაზეთ „კომუნისტის" 1972 წლის 19 ნოემბრის წერილში „ჩვენი დროის" არგონავტები" (ასე არღვევენ გაგრის რაიონში მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის კანონს)", ყველაფერი დაწვრილებით არის მონათხრობი. ამიტომაც ლ. ღურწკაია ჯერ რაიკომის პირველი მდივნის პოსტიდან გაათავისუფლეს, მერე აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრად აკურთხეს, თუმცა მცირე ხნით, ხალხის აღშფოთება იმდენად მკაცრი იყო, იქაც ვერ შეინარჩუნეს, მაგრამ „მწყალობელმა ბიძებმა" ციტრუსების მეურნეობის დირექტორად დანიშნეს, მერე გაარიდეს აფხაზეთს, როგორც ამბობენ, ჯერ მისთვის სპეციალურად ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი შექმნეს ფოთში, მერე შევარდნაძის მოღვაწეობის წლებში რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ წამოსკუპეს და ამ პოსტიდან გაათავისუფლეს შესანიშნავი მოქალაქე და მეცნიერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ანდრო კიკნაველიძე. რა წესრიგს დაამყარებდა ასეთი წარსულის კაცი მიწათსარგებლობაში?

მეტისმეტად ცუდ როლს ასრულებდა მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის საქმეში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. ამ ორგანოში დასტობით თხზავდნენ დოკუმენტებს, რომლებიც ნებას რთავდა რაიონების ხელმძღვანელებს არაქართული მოსახლეობისათვის უხვად ერიგებინათ ქართული მიწა-წყალი. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ქართული სოფლები წლობით იყვნენ მოკლებული ამ ბედნიერებას, მრავალსულიანი ოჯახები ვერც გაყრილიყვნენ და ვიწროდ ცხოვრობდნენ. ეს ყოველივე გვაფიქრებინებს იმის სისწორეს, რაც არაერთხელ გვსმენია გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და სხვა განსაკუთრებით დემოგრაფიულად დაზიანებულ რაიონებში: წინასწარ ფული გროვდებოდა, ყველა თავისას მიიღებდა და მიწების გაცემის ნებართვასაც იბრძებდიო. აი, სადამდე მივედით ჩვენ, როგორ დავკარგეთ, დავახურდავეთ ქართული სინდის-ნამუსი, რა დღეში ჩავაგდეთ ჩვენი საცხოვრისი.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დანაშაულებრივად გამოუყო 12 ჰექტარი უხვმოსავლიანი სარწყავი ფართობი საკარმიდამო ფონდად მარნეულის რაიონის ყიზილაჯლოს საბჭოთა მეურნეობას, მაშინ როცა ამ ზონაში მიწების გაცემა მისივე დადგენილებით საერთოდ შეჩერებული იყო. არც წვრილმან მეურნეობას არ ერიდებოდნენ. ამის ნათელი მაგალითია მინისტრთა საბჭოს 1988 წლის პირველი აპრილის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე ბოლნისის რაიონის სოფელ ქოშა-ქილისაში მცხოვრებ სამ ძმა რაზაკოვს ცალ-ცალკე გამოეყო სამოსახლო ნაკვეთი თითოეულს — 0,10 ჰექტარი. ეს ის რაზაკოვებია, რომლებმაც ერთ დროს დატოვეს სოფელი. მაშინ ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ, უკან კი სამ ოჯახად დაბრუნდნენ. კომენტარები მკითხველისათვის მიგვინდია. ისე კი დავძენთ, აი როგორ „იჩაგრებიან" საქართველოში აზერბაიჯანელები...

დამნაშავის ხელის დაფარება და დაწინაურება, მეტადრე თუ პარტიული ფუნქციონერისათვის სასურველი და სასარგებლო ვინმე ჩანდა, საერთოდ, გავრცელებული მოვლენა იყო. გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელებმა (პარტრაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ოთარ ბოკერია) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს დირექტორად დააწინაურეს სართიჭალის დირექტორობიდან მიწების განიავებისათვის მოხსნილი ბ. მუხიაშვილი. ამ ფაქტზე თავის დროზე ვწერდი, რესპუბლიკის აგრომრეწვის ხელმძღვანელობასაც ვაცნობე, ლუდვიკ ღურწკაიამ და აგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილემ კადრების დარგში კოკი ბაქრაძემ, კიდეც გაგზავნეს შესამოწმებლად თავიანთი წარმომადგენელი გურამ ახალაძე, მაგრამ შედეგი არაფერი მოყოლია. ეტყობა ახალაძე აგრომრეწვში უფროსების საიმედო პირია და იქ აგზავნიან, სადაც საქმე უნდა „გაიმასქნდეს". ამის მაგალითიც ჩვენთანაა. გავახსენოთ მან ყიზლარის „ოდისეა", როცა ზამთრის საძოვრების სამმართველოს შემმოწმებელ კომისიაში მონაწილეობდა, მოხსენებით ბარათში შეგნებულად ერთი ისეთი ყალბი წინადადება შეიტანა, როგორიც აგრომრეწვის ხელმძღვანელობას სურდა და საშუალებაც მიეცა, მტყუანი გაემართლებინა და მართალი გაემტყუნებინა.

ისმება კითხვა: როგორი იყო ამ დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია? პირდაპირ უნდა ითქვას: დანაშაულებრივი. ვინ დაიჯერებს, რომ ცენტრალურ კომიტეტში არ იცოდნენ იმ აღმაშფოთებელი მოვლენების ამბავი, რომლებიც მაშინ ხდებოდა? მაგრამ პარტიული ფუნქციონერებიც საკმაოდ იყვნენ ჩათრეული დანაშაულში და როცა ადამიანი თავად უსინდისოა, სხვასთან ხმა არ ამოეღება. გვახსენდება ასეთი ფაქტიც: რამდენიმე წლის წინათ საფუძვლიანად შემოწმდა მარნეულის რაიონი. ყველა ერთხმად ლაპარაკობდა: საკითხი ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე იხილებაო, იმასაც კი ამბობდნენ, ვის რა სასჯელი ელოდა. მათ შორის ასახელებდნენ მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს ზინაიდა იმანოვას, რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ. დავძენთ მხოლოდ, რომ მის მიერ არაკანონიერი წერილობითი მითითება მიწების გაცემის შესახებ ერთეული როდი იყო, ამას ის ხშირად ჩადიოდა, რათა, რაც შეიძლება უფრო მტკიცედ და მყარად დამკვიდრებულიყვნენ ადგილზე მისი რჯულისა და ჯილაგის ოჯახები. ერთ ასეთ მითითებას კიდევ დავასახელებთ: იგი 1981 წლის 30 დეკემბრით არის დათარიღებული და დასმული აქვს № 1533, რომლის საფუძველზე 3 ჰექტარამდე მიწის ფართობი ერთბაშად მოაკლდა საბჭოთა მეურნეობა „მეგობრობის" საზოგადოებრივ ფონდს და მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდა. რაიონის კეთილსინდისიერი მშრომელები რაიონისა და ქალაქის შეერთების დროს მაინც ელოდნენ სიმართლის გამარჯვებას, რადგან მაშინ მომენტი იყო, მაგრამ ნურას უკაცრავად: დამნაშავე იმანოვა არავის განუკითხავს და გაერთიანებული სახალხო განათლების განყოფილების გამგის სავარძელში ჩააბრძანეს.

მგელს სახარებას უკითხავდნენო...

ჩვენი უმწვავესი პრობლემებისადმი ასეთმა მიდგომამ და აბუჩად აგდებამ დაამკვიდრა მეტად ძავნე პოზიცია: ხელმძღვანელ მუშაკს დანაშაულის ჩადენის აღარ ეშინია, რადგან იცის, ადვილად დაიძვრენს თავს, შეიძლება სულაც არავინ შეჰკადროს რამ, ნათქვამია: „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და იძახდა გამიშვით, მთაზე ცხვარი მიდისო." სულ ახლახან ასე დაემართა მარნეულის რაიონის ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს თენგიზ კაპანაძეს. ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიტანოთ ამასთან დაკავშირებით მეურნეობის თანამშრომლის ნანული ლალიაშვილის განცხადება, რომლითაც მოგვმართა: „ჩემი ოჯახი ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ცხოვრობს 1940 წლიდან, დედაჩემი წლების მანძილზე მუშაობდა მევენახე ბრიგადირად, პირადად მეურნეობაში ვმუშაობ 1966 წლიდან, მყავს სამი შვილი, რომელთაგან ერთი სამხედრო სამსახურშია. 1974 წლიდან ვარ მიწის მიღების აღრიცხვაზე. ამ ხნის განმავლობაში მომუშავე დირექტორებს 14-ჯერ მივმართე განცხადებით, ყველა მპირდებოდა: მიწის ფონდი რომ გამოიყოფა, დაგაკმაყოფილებთო. ამ დროს მიწის ნაკვეთებს ღებულობდა აზერბაიჯანული მოსახლეობა მათი დამსახურების განუკითხავად. თუ რა გზით ახერხებდნენ ისინი ამას, ეს დირექტორების სინდისზე იყოს. 1990 წელს მთავარი ბუღალტრის ქალიშვილმა ნათელა კარაევამ, რომელმაც 1980 წელს უკანონოდ მიიღო მიწა და ამ წლების განმავლობაში არ ამუშავებდა, მიჰყიდა იგი რუსთავში მცხოვრებ ვ. მუსტაფაევს, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს მეურნეობასთან და არასწორი ქმედება ბრძანებით დააკანონა მეურნეობის დირექტორმა თ. კაპანაძემ (ბრძ. № 45, 1990 წლის 20 აგვისტო). კატეგორიულად მოვითხოვ, გაუქმდეს ეს ბრძანება და აღნიშნული მიწის ნაკვეთი დამიკანონდეს მე, როგორც გადაუდებლად საჭიროების მქონეს". ნანული ლალიაშვილის განცხადებაში ყოველი სიტყვა სწორია; ეს დადასტურდა რაიაგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკთა შემოწმებით. იმაზეც ვეთანხმებით, რომ მიწა გაყიდულია, მაგრამ იურიდიულად ეს ძნელი დასადგენია. არც მყიდველი და არც გამყიდველი ამას არ იტყვის, მაგრამ, რა სინდისმა გააკეთებინა. თ. კაპანაძეს ასეთი რამ? იმედია, რაიონის ახლანდელი ხელმძღვანელობა უფრო ჩაუღრმავდება ამ საკითხს და მეურნეობის ერთმმართველ დირექტორს სათანადოდ მოჰკითხავს. მკაცრად უნდა დაისაჯოს ქაფანახჩის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე დურსუნ ჰუსეინოვიც, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით სიყალბეთა სერია ჩაიდინა.

ერთი სიტყვით, დარღვევები და დანაშაულობანი, სამწუხაროდ, ჯერაც ხდება და კვლავაც მოხდება, თუ ერთხელ და სამუდამოდ არ გავამკაცრეთ კანონი, მწვავედ არ მოვკითხეთ იმ ვაიმუშაკებს და ვაიპატრიოტებს, ვინც იმ ხის ტოტს კი არა, მთლიანად ხეს ჭრიან, რომელზეც სხედან. თუმცა ახლა რესპუბლიკაში სულ სხვა სიო ქრის და იმედია, ყველა სიმახინჯეს დაედება ზღვარი. სამომავლო საქმეში ყველამ აქტიურად უნდა მივიღოთ მონაწილეობა და ერთგულად ვწიოთ ჭაპანი.

დავით ბიწაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის"
საკუთარი კორესპონდენტი.

შიდა ქართლი

სამაჩაბლოელთა სახელით

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანებულებისადმი პროტესტის ნიშნად ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვში გაიმართა შიდა ქართლის მოსახლეობის ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა დაგმეს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც ლახვარს სცემს ქართველი ერის კანონიერ უფლებებს და რომელსაც საერთო არაფერი აქვს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ობიექტურ შეფასებასთან, რაც დაკავშირებულია ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა-გაუქმებასთან.

მომიტინგეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 იანვრის საგანგებო სხდომის გადაწყვეტილებას. — აღინიშნა, რომ თუ პრეზიდენტი არ გააუქმებს 7 იანვრის ბრძანებულებას, მაშინ შიდაქართლელნი მთელ ქართველ ხალხთან ერთად მზად არიან მიმართონ პროტესტის უკიდურეს ზომას — ეროვნულ დაუმორჩილებლობას.

მიტინგის დასასრულს გვესაუბრეთ როგორც ოსი, ისე ქართველი ეროვნების წარმომადგენლებს.

ლ. ხუბაევა — მე ოსი ვარ. გავიზარდე ცხინვალის რაიონში. აქვე შევქმენი ჩემი ოჯახიც. ჩემთვის და ჩემი შვილებისათვის სამშობლო მხოლოდ საქართველოა. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ქართველთა ღვთიური ხელი და სწორუპოვარი სტუმართმოყვარეობა. მათ დიდი, განუსაზღვრელი მადლი აქვთ ოსებზე. გაჭირვების ჟამს შეგვიფარეს, დაგვაპურეს. ჩვენ ქართველი ერის პატივისცემას ვერასოდეს გადავიხდით. ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს მხოლოდ — ქართველებთან ერთად ვიბრძოლოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა-დამოუკიდებლობისათვის... მაგრამ სამწუხაროდ, გამოჩნდნენ სეპარატისტული ძალები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრიობას ხელყოფენ. მათ უნდა შევახსენო, რომ პრეზიდენტის ბრძანებულება სხვა არაფერია, თუ არა ქართველებსა და ოსებს შორის შუღლის გაღვივება. განა არ იცით, რომ შიდა ქართლი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მას ქართველი ერი, საკუთარი სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს, არ დათმობს? განა ძმათა შორის სისხლის დაღვრას ისტორია გვაპატიებს?

მე მხარს ვუჭერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, ვუერთდები ჩემს გორელ თანამემამულეებს, მათთან ერთად მივდივარ მოსკოვში და პრეზიდენტის ბრძანებულების გაუქმებამდე ვაცხადებ უვადო შიმშილობას.

ნ. ხაჩიროვა — პრეზიდენტის საზობაო „საჩუქარი" იმის რეალური დადასტურებაა, რომ მას არად უღირს არა მარტო ქართველი ერის, არამედ საქართველოში მცხოვრები ხალხების ინტერესები. იგი ხელოვნურად აღვივებს ეროვნებათშორის შუღლს, თორემ ქართულ მიწაზე მაცხოვრებელ ოსებს რა გვაქვს გასაყოფი და სამტრო ქართველებთან? დროა ყველა ოსმა, რომლებიც განზე გაუდგნენ ქართველობას, შეიგნოს, რომ ქართველებს უნდა ამოვუდგეთ მხარში და მათთან ერთად ვიბრძოლოთ. ქართველების გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაცაა. ვგმობ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობას. მას ძალმომრეობისა და ბოროტების მეტი არაფერი მოუტანია. ოლქი ადრეც უნდა გაეუქმებინათ. ვიზიარებ რა ჩემი თანამემამულეების კეთილშობილურ მიზნებს, მათთან ერთად მივდივარ მოსკოვში და ვიწყებ უვადო შიმშილობას.

ბ. ბერუაშვილი — ცნობილია, რომ ოლქში სეპარატისტული ძალები აშკარად ცდილობდნენ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაციას, საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრაციულ და ტერიტორიულ ხელყოფას, რათა სამშობლოსათვის ჩამოეცილებინათ ისტორიული შიდა ქართლი. სეპარატისტთა მოქმედება ეწინააღმდეგებოდა როგორც რესპუბლიკის, ისე, საკავშირო კონსტიტუციებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს. სწორედ ოლქში მიმდინარე არაჯანსაღმა პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობეს ავტონომიური ოლქის გაუქმება, რაც ყველა ნიშნის მიხედვით სამართლებრივი ისტორიული მოვლენაა.

პრეზიდენტის განცხადება კი მიგვაჩნია როგორც საკავშირო, ისე საქართველოს კონსტიტუციების დარღვევად, სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად. გულახდილად მინდა ვთქვა, რომ პრეზიდენტის ბრძანება ყოველგვარ ზნეობრივ, სამართლებრივ საზღვრებს სცილდება. საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და მის ტერიტორიაზე ყოველგვარი პრობლემების გადაჭრაც მისი პრეროგატივაა.

გია ცოტნიაშვილი — პრეზიდენტის გადაწყვეტილება, ქართველი ერის კანონიერი ნების აშკარა შელახვაა. სწორედ პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნების შედეგია, რომ ქალაქ ცხინვალში სეპარატისტული ძალები თავს ესხმიან ქართულ მილიციას. ამ დღეებში კი, ბრძანებულებით წაქეზებულმა სეპარატისტებმა ყოფილ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, საოლქო საბჭოს აღმასკომის შენობებს, სადაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები არიან დაბანაკებული, რაკეტები დაუშინეს. არის მსხვერპლი. საკითხავია, ვინ მისცა სეპარატისტებს რაკეტები? ცხადია, ყველაფერს გამოძიება დაადასტურებს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ უდანაშაულო ადამიანთა სისხლისღვრისათვის ვინ ამაგრებს სეპარატისტთა ზურგს?

ეს წერილი გამზადებული იყო, როდესაც ჩვენთან ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვში მცხოვრები ოსი ეროვნების წარმომადგენელნი ვ. საბანოვა და ო. ხუბაევა მოვიდნენ და განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს რესპუბლიკის 11 დეკემბრის სესიის გადაწყვეტილებას, მიემგზავრებიან მოსკოვს და პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულების გაუქმებამდე აცხადებენ უვადო შიმშილობას.

გივი ზორიაძე.



ქ. გორში, როგორც ვიცით სასიკვდილო შიმშილობა გამოაცხადეს ოსებმა.

ვარლამ ბენზიურის ფოტო.

მიტინგი სოხუმში

11 იანვარს სოხუმში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა ერთსულოვნად განაცხადეს პროტესტი ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების წინააღმდეგ. მიტინგი მოაწყვეს სრულიად საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილებამ, ილია მართლის რეგიონალურმა საზოგადოებამ და საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილებამ. ქართველი ხალხის დემოკრატიულ უფლებათა გათელვის ფაქტისადმი თავისი დამოკიდებულება გამოხატა აფხაზეთის მრავალეროვანი დედაქალაქის მოსახლეობის ყველა ფენამ.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

მხარს ვუჭერთ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონს 1922 წელს უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ და ვიწონებთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებულ საგანგებო წესებს ცხინვალში და ჯავის რაიონში და აღნიშნულ რაიონებში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ქვეგანყოფილების შეყვანას, რომლის მიზანია, ექსტრემისტებისაგან ქართველი და ოსი მოსახლეობის დაცვა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია.

მოვითხოვთ, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს მიეცეთ თავიანთი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა.

სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებას მივიჩნევთ საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად, რესპუბლიკის სუვერენიტეტის გათელვად, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზას დაადგა, ქართველი ხალხის ეროვნული და რელიგიური გრძნობების უგულებელსაყოფად.

ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალების შეყვანისა და იქიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ძალით გამოყვანის შემთხვევაში, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მთელ ქართველ ხალხთან ერთად გამოვაცხადოთ ეროვნული დაუმორჩილებლობა.

თენგიზ ჯიბუტი.
სს „საქართველოს" კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო

იდეოლოგიური დივერსია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ

იმ ავადსახსენებელ დროში, 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველოში საკუთარი აზრის გამოთქმა ციხითა და მრავალწლიანი გადასახლებით ისჯებოდა, თბილისში გავრცელდა ერთი პუბლიცისტური ნაშრომი, რომელიც ამხელდა შევარდნაძესა და მისი კარის რეჟისორს, რევაზ ჩხეიძეს. ავტორი გასაგები მიზეზების გამო არ აწერდა ხელს. წერილის გაცნობის შემდეგ, მკითხველი მიხვდება თუ რა იყო ამის მიზეზი. წერილში წამოჭრილი პრობლემები დღესაც აქტუალურია, ამიტომ ვბეჭდავთ მას მცირე შემოკლებით.

ეგზალტირებულ ბრბოს არწივი შეუპყრია...

დატყვევებული ფრინველთა მეფე შეცბუნებული მიაბიჯებს აღფრთოვანებულთა შორის, ესოდენი აღტკინებით რომ მიერეკებიან მილიციაში. „გაუშვით კაცო, ცოდვაა" — ისმის საკმაოდ სუსტი, მორიდებული ხმა. მკაცრია და შეუბრალებელი წინამძღოლი, შეუვალია მისი სიმტკიცე, თითქოს გადაწყვეტილია ლაჟვარდოვან სივრცეთა რაინდის ბედიც.. მალე ან ფრთებდაჭრილს დაამწყვდევენ, ან თავს გაუჩეჩქვავენ ადამიანები... ადამიანური კეთილდღეობიდან გამომდინარე, არაფერია გულუბრყვილობაზე აშენებული კოლექტივის განაჩენზე უფრო საშინელი. ყალბი რწმენა საერთო-სახალხო სიკეთის შესახებ ათავისუფლებს მასის პასუხისმგებლობას, დათრგუნვილი ნებისყოფა ადუნებს წინააღმდეგობის უნარს, ორივე ერთად ინდივიდუუმის სულში აღორძინებს ბოროტ საწყისებს. გამარჯვებული ინსტინქტი კი ყოველთვის როდი მიემართება სწორად... „ჰოი, წმინდაო გულუბრყვილობავ!" — წამოიძახა სიხარულით იან ჰუსმა, როცა დაინახა, როგორ დაუმატა მის დასაწვავად ანთებულ კოცონს შეშის კონა პატიოსანმა დედაბერმა...

ასეთივე რანგისა იყო ე. წ. „პროლეტარული რევოლუციის" სიშმაგე, 1917 წლის 25 ოქტომბერს რომ დაიწყო და დღემდე გრძელდება სხვადასხვა ფორმით. შესაბრალისია პირველ კომუნისტთა პურიტანიზმი, სიკეთის სახელით, გასაოცარი ენთუზიაზმით რომ სპობდნენ ერთმანეთს... თუმცა, დავუბრუნდეთ ზემოთ აღწერილ ეპიზოდს... ბრიყვულსახიანმა კაცმა ბარი ასწია, რათა შუა გააპოს არწივი. ამის გაკეთებას არ აპირებდა იმავე ადამიანური სიკეთის პოზიციიდან, ხალხის საკეთილდღეოდ. მაგრამ რატომ აირჩია ასეთი სასტიკი მეთოდი? იქნებ ფრინველთა მეფემ გაამძაფრა შურისძიების უზომო ვნება? არა, ჩემო მკითხველო, ბარშემართულიც შინაგანად პატიოსანია, მასაც აწუხებს რაღაც, მისთვის შეუცნობელი. შეუცნობლად გრძნობს, ყველაფერი არ არის ისე, როგორც უნდა იყოს. უდავოდ, ვიღაც ტყუის, ვინ? — ეს გაუგებარია, მაგრამ თვითონ რომ მოტყუებულია, ეს კი ცხადად იგრძნობა. და აი, ამ კაცში აღიძვრის უარყოფის ძალუმი გრძნობა. საით უნდა წარიმართოს მძლავრ მუშტად შეკრული დიდი ხნის ბოღმა? იქნებ ჯობდეს, რისხვად დაატყდეს წინ ამაყად მიმავალ ბელადის როლში შესულ იდიოტს? ხდება კი საერთოდ პარადოქსული, თუმცა, მოღრეცილი ჭკუისა და გაუკუღმართებული მორალური კატეგორიების მქონე საზოგადოებისათვის სრულიად ლოგიკური რამ — თავის გაჩეჩქვა ემუქრება სილაღისა და სიჩაუქის რაინდს — ფრინველთა მეფეს. ო, რა შთამბეჭდავი სიმბოლიკა წაუმძღვარა თავის ახალ ფილმს რეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ! სიმბოლიკის ჭეშმარიტი დიდოსტატია ჩვენი რეჟისორი. საერთოდ, ამ მშვენიერ ქვეყანაში — „მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ სოციალისტურ ქვეყანაში", სადაც ცნება „საერთო-სახალხო" მიწასთან ასწორებს ყველაფერს და, არცთუ ისე გასაგები მექანიზმის წყალობით, ფაქტიურად არავინაა თავისუფალი, თავიდანვე განსაკუთრებული აყვავება პოვა ე. წ. პოლიტიკურმა სიმბოლიკამ — ალეგორიამ. ეპიზოდურმა მინიშნებებმა აუცილებელი კომპონენტის როლი შეიძინეს მხატვრული შემოქმედების ყველა სფეროში. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი ორადია. ანალოგიური ვითარება შეიქმნა 20-30-იან წლებში, რომელიც დამთავრდა ალეგორისტების სისხლიანი ანგარიშსწორებით. სახელმწიფოებრივმა პარანოიზმმა ისე ამოფხვრა თავისუფალი აზრის თითოეული გამოვლინება, როგორც მარტის ყინვები სპობს ხოლმე თებერვლის სითბოთი ნაადრევად აფეთქებულ კვირტებს. შემდეგ დაიწყო „უკონფლიქტობის", საყოველთაო ბედნიერების პერიოდი. მას მოყვა ზედაპირული „დესტალინიზაცია" (სტალინიზმი —უსტალინოდ), „ბერიევშჩინის" ლიკვიდაცია (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი უბერიოდ), ვოლუნტარიზმის და სუბიექტივიზმის ათწლიანი რეციდივები, რაც დამთავრდა 1964 წლის ოქტომბრის ისტორიული პლენუმით. ასპარეზი დარჩა თვითმარქვია ბიუროკრატიას — ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს სოციალურ-ეკონომიკური ელიტის მკვეთრი კონსერვაციით, პოლიტიკურ სფეროში სრული სტაგნაციით (სტაგნაცია—დამჟავება). ყველაფერი ეს გადაიფარა ზედაპირული „ჰუმანიზმით" და აი, 60-იან წლებში „ფსიქოლოგიზმს" შეუცნობლად მოჰყვა პარალელურად საბჭოური ორთოდოქსალურის შენიღბული „რევიზია" (ეს პროცესი თავისი მნიშვნელობით ოდნავ გაუტოლდება კათოლიკური სამყაროს „რეფორმაციებს", რა თქმა უნდა, უფრო შეზღუდული მასშტაბით). საერთო „პროგრესს" თან სდევდა ისეთი ტენდენციებიც, რაც არაფრით არ ეტეოდა გაფართოებულ „პროკრუსტეს სარეცელზე" და კვლავ აღდგა ალეგორიზმი. თანამედროვე ქართული ალეგორია ორგვარია: ერთი ჭეშმარიტი, თავისთავადი მოვლენაა. ათწლეულობით დამუნჯებული, კონიუნქტურული მიკრობით დასნეულებული შემოქმედებითი ენერგია დაუზარჯავი ძალის უფართოესი რეზერვებით ვერ ჩატეა დემოკრატიზმის ნებადართულ ჩარჩოებში და პოლიტიკური სიმბოლიკის არხებით გაჟონა საზოგადოებაში. ოდნავ წიგნიერი მკითხველი თუ მაყურებელი შესანიშნავად ხვდება, რატომ შეუყვარდათ პატიოსან ქართველ პოეტებს 32 წლის შეთქმულების გმირთა სამყარო, მე-19 საუკუნის პატრიოტთა წრე... რა ახალი ჟღერადობა შეიძინეს შექსპირის, ბრეჰტის, კაკაბაძის, შატროვის პიესებმა, რატომ ჩაიცვას რიჩარდ მესამეს ესესელის ფორმა ან რატომ იწევს ჰიტლერის და კიდევ სხვა ვიღაცის ასოციაციას სცენაზე ფეხშიშველა მოხტუნავე ყვარყვარე... სტანდარტულ კლასიკას შეჩვეული ობივატელი მაყურებელი შეაკრთო კიდეც ლენინის მოღერებულმა თოფმა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ საუბრისას. საყოველთაო სიწმინდის სახელით წმინდანი მარიტას გასამართლებამ ხომ აგვიფორიაქა სული და დაგვაფიქრა — რატომ ლაპარაკობენ სიმართლეს მშფოთვარე ციციკორეთა იდილიაზე? შეგშინდი, ჩემო მკითხველო? ალბათ, ფიქრობ, უნებლიეთ ხომ არ გამოვდივარ მაბეზღარას როლში? ვინ იცის, გულწრფელად ფრთხილობ, ალეგორიზმზე ყურადღების გამახვილებამ არ დააზიანოს პატრიოტ შემოქმედთა ფართო დასი. არა, ბატონებო, არა, თქვენი კეთილშობილური სიფრთხილე სრულიად ზედმეტია ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ალეგორიზმ-სიმბოლიზმის მთელი ლაბორატორია, ყველა დაინტერესებული ორგანოსათვის მომზადება-ჩასახვისთანავე ცნობილი. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან განსხვავდება იმით, რომ იქ (ე. ი. სუკ-ში) ბრიყვები არ სხედან (ყოველ შემთხვევაში სუკის პრინციპი უნდა გამორიცხავდეს მილიციონერულ კრეტინიზმს), ე. ი. ალეგორია ყველას ესმის. მაშ, თუკი ასეა, რატომ არაფერი კეთდება ასეთი ალეგორიზმის სალიკვიდაციოდ? იმიტომ, რომ ეს პროცესი გამოიწვევს საზოგადოებრივ დაჭიმულობას. გინახავთ ორთქლის ქვაბი? წნევა რომ აიწევს, ოდნავ გაუშვებენ ხოლმე ორთქლს, თორემ შესაძლოა აფეთქდეს. დაე, ინტელექტუალიზმმა შვება იგრძნოს იმის ნახვით, თუ როგორ იძენს დრაკონულ თვისებებს დრაკონის სავარძელში მჯდარი სახალხო გმირი. რა მოხდა მერე? იმსჯელებს თავის მეგობრებთან პატარა სალონში, ვიღაცას დასცინებს, ვიღაცას აგინებს, გულს მოიოხებს. მეორე დილით კი წავა სამსახურში, რათა მთელი ძალებით ემსახუროს იმ მთავრობას, რომლის ზოგიერთი მანკი მისი თანდასწრებით გააკრიტიკეს. გახსოვთ, რიჩარდ მესამე როგორ მიმართავს თავის ძირითად მოწინააღმდეგეს, ხალხის ლოცვის იმედით რომ აპირებს მასთან ბრძოლას? „ძუძუმწოვარო ბალღო, შენთვის ილოცებენ, ჩემთვის დაიხოცებიან". შექსპირი ხომ შემაძრწუნებლად მართალია ყოველთვის. და თანაც რა არის ალეგორია? მას არავითარი რეალური ვნების მოტანა არ შეუძლია. ძალიან აჭარბებენ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები თავიანთ როლს. ისტორიაში ჯერ არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, ციხე-სიმაგრეები რომ პოეტებს აეღოთ ლექსების დაშენით. ძველთაგანვე ცნობილია, ბოროტება დიდი ძალაა, რომლის მოსპობა მხოლოდ ძალით შეიძლება. ფორმულა „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია", შენებას ეხება. უარყოფითის მოსასპობად კი ნგრევაა საჭირო. დიდი ნგრევა. სულ სხვა საქმეა, დიდ ხელოვანებს რომ შეუძლიათ აღმართონ ხალხის სული, აქციონ იგი კეთილშობილურ გმირად.

გარკვეულ მომენტში პრაქტიკული დანიშნულება მიეცემა ხოლმე ალეგორიას. მან უნდა მიანიშნოს, დაანახოს ადამიანებს სიმართლე, მაგრამ რამდენად აუცილებელია დღეს ამის ხაზგასმა? ჩვენი ეპოქა განუმეორებელი პარადოქსია. ყველამ, აბსოლუტურად ყველამ ვიცით, რომ ერთმანეთს ვატყუებთ და მაინც ვატყუებთ. ვიცინით ამ ტყუილზე და მაინც ერთმანეთს ვეჯიბრებით — ვინ უკეთ მოატყუებს, რადგან ყველაზე დიდი, ლამაზი ტყუილისათვის ყველაზე დიდი ჯილდოა დაწესებული.

მეორეც, ალეგორიზმი შეგნებული მიმდინარეობაა. უბრალოდ, ჭეშმარიტ ხელოვანს უჭირს ზუსტად ჩაჯდეს პარტიულ სტილში. თანამედროვე საბჭოთა მწერალი რამდენიმე საფეხურს გადის თავისი მხატვრული კონცეფციის ფორმირებისათვის. ჯერ სწავლობს წერას, მერე თემას ეუფლება. ამის შემდეგ კი იწყება ურთულესი პროცესი — უნდა ყველაფერი ჩასვა კონიუნქტურულ სამოსელში, რომ მთლად არც სული გაყიდო და ოჯახიც გამოკვებო. აღწევენ ამას.

უსამართლობა იქნებოდა, დღეს ამ საკითხზე გვესაუბრა. საბჭოთა ლიტერატურას მომავალი შეაფასებს. აქ კი ერთ რამეს დავძენ — ნამდვილი შემოქმედი (თუ ის შემორჩა ოფიციალურ საბჭოთა შემოქმედებით ასპარეზს) უნებლიეთ მიდის ალეგორიზმამდე. ამ შესავლის შემდეგ ისევ დატყვევებულ არწივს დავუბრუნდეთ.

თანამედროვე სიტუაციის კინემატოგრაფიული აღქმა მოითხოვდა არწივის მოსპობას. თითქოს ეს ასე უნდა ყოფილიყო — ბელადი ბრიყვია, ბრბო შეურაცხადი. აკი მოგახსენეთ, მხოლოდ ერთი ხმა ისმოდა პროტესტისა. მაშ რას უნდა გადაერჩინა ფრინველთა რაინდი? — და მაინც ხდება სასწაული — ბრბოს წინ გადაუდგება ახალგაზრდა ჭაბუკი — გიორგი თორელი, რომელმაც შეუძლებელი შეძლო, ერთი ხელის აქნევით არწივი ცას დაუბრუნდება: სანამ მიწაზე ჩამოსული ღმერთი მიწიერ საქმეებსაც მოაწესრიგებდეს (მთესველი მიწას უბრუნდება, მევენახე — ვენახს, გაქცეულ სოფელი — სოფელს, გამომშრალ ველებს — წყალი, დანგრეულ ციხე-კოშკებს — ამშენებელი), კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ფილმის შესავალი. რატომ დასჭირდა რეჟისორს არწივის დატყვევება, თუკი მისი განთავისუფლება ერთი ჩვეულებრივი კაცის სიტყვაზე ყოფილა დამოკიდებული? არწივი რომ დალუპულიყო, გასაგები იქნებოდა სიმბოლიკაც — იგი ინსტინქტური ალეგორიზმის ჭრილში შეიძლებოდა გაგვეხილა. ცხადი გახდებოდა დამდგმელი ჯგუფის პოზიცია, ბაზი: გადაწყვიტეს შეექმნათ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის ტიპი: იდეურ-თეორიული (ე. ი. როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში) და არა პრაქტიკული (ე. ი. როგორიც არის). და ამან მიიყვანა ფილმის შემოქმედებითი კოლექტივი ალეგორიამდე, არწივი კი ცაში აფრინდა.

დაუკვირდით: იყო ტყვე და აფრინდა. მაშასადამე, ფილმი ასახავს ჩვენი ცხოვრების რადიკალურად განსხვავებულ ორ პერიოდს, პირველი — წარსული (არწივს თავის გაჩეჩქვით ემუქრებიან), მეორე — აწმყო (არწივი ცას უბრუნდება). მოდით, გავერკვეთ, რომელ ეპოქას ეძღვნება ეს ფილმი. საბჭოური ცხოვრების ქრონოგრაფი დროს ყოველთვის ორ ნაწილად ყოფდა. სტალინის ეპოქაში ეს დაყოფა ჩვეულებრივ ხდებოდა 1913 წელთან შედარების საფუძველზე. მიაქციეთ ყურადღება: ადარებდნენ არა 1917 წელთან, არამედ 1913 წელთან. პირველ მსოფლიო ომში რუსეთის ჩაბმამ გამოიწვია სამეურნეო ნგრევა. მაშასადამე, ლოგიკური იქნებოდა სოციალიზმის მიღწევები შეედარებინათ დაცემის წლებთან. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ სტალინიზმის რეჟიმის უარყოფითობის მიუხედავად სტალინი ყოველთვის იდგა რეალისტურ პოზიციაზე. მას რომ მოინდომებინა ხაზი გაესვა საკუთარი მიღწევებისათვის სამეურნეო დარგში, ან აიღებდა 1917 წლის 25 ოქტომბერს, ან 1921 წლის 7 სექტემბერს, როდესაც გენერალური მდივანი გახდა და ლენინის სიცოცხლეშივე აიღო სახელმწიფოს მართვის სადავეები. სტალინს რომ რეალისტური აზროვნება ჰქონდა, იქიდანაც ჩანს, რომ სოციალურ-პოლიტიკური მიღწევებისათვის იღებდა უკვე 1917 წელს. საერთოდ კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თარიღი — ე. ი. სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წინსვლის ათვლის წლები ლოგიკურად უნდა გამიჯნულიყო. შემდეგ — ქრონოგრაფიული შეშლილობა: ხრუშჩოვმა წელთაღრიცხვა დაიწყო 1952 წლიდან. უფრო მეტიც: მან ათვლის სისტემა შეცვალა, ძირითადად ერთმანეთს ადარებდნენ 1917 წლის ეკონომიკურ მაჩვენებლებს. აქ მივიღეთ პირველი კურიოზი: გამოქვეყნებული ციფრების მიხედვით ისე საოცრად იზრდება რეალური შემოსავალი, რომ არც მეტი, არც ნაკლები, დღეს ჩვენი მოქალაქე ოცჯერ უკეთ უნდა ცხოვრობდეს თურმე, ვიდრე ეს იყო სტალინის სიცოცხლეში. ლ. ი. ბრეჟნევისათვის ათვლის წერტილი 1964 წლის ოქტომბრის პლენუმია. მაგრამ ყველაზე მკვეთრი ხაზგასმა ორ პერიოდზე — როცა ყველაფერი ცუდი იყო წარსულში და როცა ყველაფერი კარგია აწმყოში, დაიწყო ჩვენს რესპუბლიკაში 1972 წლიდან. აქ განსხვავებამ შეიძინა სოციალური ხასიათი. გინდა თუ არ გინდა, უნდა იწამო, რომ 1972 წელს საქართველოში მოხდა დიდი რევოლუცია. ალბათ, ამიტომ დაიახლოვა შევარდნაძემ უაღრესად ოდიოზური ქ. ლორთქიფანიძე. ეს უდავოდ ნიჭიერი მწერალი ხომ საკმაოდ მარჯვეა კონტრასტული სოციალური მოვლენების ურთიერთშეპირისპირებაში. როგორც ჩანს, 1972 წელი გაუთანაბრეს 1921 წელს. მაშასადამე, მივაგენით რ. ჩხეიძის ფილმის ქრონოლოგიურ ტეხილს. პირველი პერიოდი — წინათ — ესაა შევარდნაძემდელი პერიოდი — 1921 წლიდან 1972 წლამდე, თუმცა, თუ დავუკვირდებით, რის აღდგენას აპირებს გიორგი თორელი და აღადგენს კიდეც, მონღოლთა შემოსევებიდან 1972 წლამდე (არწივის ტყვეობა), და მეორე — შევარდნაძის პერიოდი (არწივის ფრენის პერიოდი) სხვათა შორის, ჩვენი ლიდერი არც თვითონ უარყოფს ასეთ დაყოფას, აკი მან საჯაროდ დატუქსა გ. ასათიანი, აკ. ბაქრაძე და სხვები, რომლებიც თურმე აკაკი წერეთლის იდეურ გმირს ეძებდნენ. პირდაპირ მიუთითა, სწორედ დღეს (დაუკვირდით, არა 1921 წლიდან, არამედ დღეს) აღარ არის საჭირო გმირის ძებნა. კაცი ბრმა უნდა იყოს, რომ ეს გმირი ვერ დაინახოს. რა თქმა უნდა, სადაც ეს ითქვა, გმირული მუშათა კლასის, მშრომელი კოლმეურნე გლეხობის როლზეც ითქვა. მაგრამ ეს იყო ფონი უკვე ნათქვამის შესანიღბავად. შენიღბვა კი აუცილებელია: რეგიონალური ბელადები ყოველთვის როდი მოსდით თვალში „იმპერატორებს". ნამდვილად საშიშია, ვინმეს არ წამოსცდეს კრემლში, რ. ჩხეიძის არწივს რომ ნახავს, „მეტისმეტად მაღლა არ აფრინდეს ეს არწივიო". ცოდვა გამხელილი ჯობს ვინ იცის, იქნებ ეს არწივი ყველაზე ბასრკლანჭებიანი იყოს ფრთებშეფრთხილ, ბეზერ სვავებს შორის. „ესეც გავითვალისწინეთ", — ჩაიღიმებს რ. ჩხეიძე, რასაკვირველია, თუ ეს სტრიქონები წაიკითხა — აბა, რად სჭირდება კრემლის სცენები, რომლებიც ასე უაზროდაა ჩართული კინემატოგრაფიული თვალსაზრისით ამ გამართულ ფილმში? სწორედ ამ ჩართვამ მოგვცა ორი თუ სამი ფინალიც, რაც რიგით რეჟისორსაც კი ნაკლად ჩაეთვლებოდა.

ავადმყოფურად უყვარს ბატონ ედუარდს 1972 წელი. გარეგნულად ვერ იტანს ქებას. გახსოვთ მისი სიტყვა საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობაზე? თურმე საოცრად ცუდად ხდება, როცა წარმატებებზე ლაპარაკობენ. ცუდად ხდება, ოფლად იღვრება— ვაი თუ ჩემი გვარი დაასახელონო. მართლაც, რა საკადრისია თვალში საცემი უნიჭო ხოტბა? აი, თუ უბრალოდ იტყვი, რომ ყველა სიკეთე 1972 წლიდან მოდის, მისაღებია. 1972 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება თბილისის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. აქეთ და ადიდეთ ეს დადგენილება. მოსკოვში ეგონებათ ჩვენ გვეხებაო, აქ კი ხომ ცხადია პანეგირიკის ადრესატი. რატომ მოეწონა ასე ძლიერ შევარდნაძეს ხაბეიშვილის სიტყვა? აბა, რა უნდა ეთქვა სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს, როცა ყრილობის ყველა დელეგატი მისხალ-მისხალ იყო აწონილი წინასწარ ექვსი თვით ადრე: ისიც კი იყო გამოთვლილი, ქალის რამდენი უცხოური საცვალი უნდა მიეტანათ დელეგატებისთვის. იმასაც ამბობენ, ფეხსაცმლების, ტანსაცმლის, „დუბლიონკების" ზომები წინასწარ იყო ცნობილი პასუხისმგებელი პირებისთვისო. ხაბეიშვილმა მოხერხებულად ჩაურთო 1972 წელი, როგორც სიკეთის ათვლის საწყისი, ვით ქრისტეს დაბადება და ზუსტად მოარტყა „ხაზეინის" პატივმოყვარე გულს. ანალოგიური საფუძველი აქვს კახელი მევენახის ვიმელ ჯავახიშვილის სიტყვის წარმატებას. აქაოდა შევარდნაძემ შეაქოო, ლიტერატურული გაზეთის პირველ გვერდზე მოგვევლინა მისი სურათი ფართო ფორმატით. ეჭვი არავის შეეპაროს, ეს გოგონა დელეგატად მოხვდა წინასწარ ჩაფიქრებული რომელიღაცა პროცენტული აუცილებლობის გამო. სიტყვას ცენტრალურ კომიტეტში დაუწერდნენ, ეს საერთოდ ასეა, ისევე, როგორც მეჩაიეები და მეციტრუსეები უგზავნიან პროტესტებს ამერიკელ პრეზიდენტებს, იმავე წესით გააკრიტიკებს 21 წლის ქიზიყელი მინისტრებს.. მაგრამ, მაინც სიტყვა არაფრით გამოირჩეოდა პირობით სტანდარტებში (იხ. გაზეთი). მაშ, რატომ აღაფრთოვანა მთელი ყრილობა. საიდუმლო გაირკვა, როცა ჩვენი თხოვნით ამ სიტყვის შინაარსი გამოჰკითხეს რამდენიმე დელეგატს. სხვათა შორის, პრესაში გამოქვეყნებული ყოველთვის არ ემთხვევა ნათქვამს. მაინც და მაინც არც ყრილობაზე უსმენდნენ თურმე ერთმანეთს. 12 გამოკითხული დელეგატიდან ამ გოგონას სიტყვის შინაარსი ბუნდოვნად ახსოვდა მხოლოდ ორს (ნამდვილად ნათქვამამდე ვინ მიგვიშვებდა? თქვენ წარმოიდგინეთ, პარტიული ოქმები გასაიდუმლოებულია). რა გამოირკვა? თურმე ამ გოგონამ შეაქო 1972 წელი და „ჭაღარაშერთული ახალგაზრდა კაცი".. უფრო შორს წავიდა საქ. ალკკ მდივანი, რომელმაც ერის ბედით ღრმად დაფიქრებული ადამიანი მოიხსენია მოწონებით. აი, რაშია საქმე — ეროვნული გმირი ამოსულა ბაზალეთის ფსკერზე ჩადგმული აკვნიდან. აკაკი წერეთელიც სწორედ ამიტომ შევიდოდა პარტიაში აუცილებლად, რასაც, შევარდნაძის თქმით, ვერ ხედავენ მისი მოქმედების „ვაიინტერპრეტატორები".

დიდი ბოდიში, ჩემო მკითხველო, მთავარ ხაზს მაინც ავცდი,.. დავუბრუნდეთ ჩხეიძეს. უდავოა, მისი თორელი შევარდნაძეა, ნამდვილად ნიჭიერი, მცოდნე, შემოქმედებითი ჯგუფის მიერ უაღრესად მოფიქრებული კინემატოგრაფიული ხერხებით გადაწყვეტილი. მაგრამ რა არის ფილმის მიზანდასახულება? შეიძლება თუ არა ვენდოთ მის პატრიოტულ სულისკვეთებას, შეიძლება თუ არა, აღვნიშნოთ, რომ (ამას კიდევ გავიმეორებ) ნიჭიერმა შემოქმედებითმა ჯგუფმა შექმნა საეტაპო კინოსურათი, სადაც მოძებნილია პარტიულ — პატრიოტული ქმედების მოდუსი? თანამედროვე საქართველოს შენახვა-განვითარების ფორმულა? კატეგორიულად ვაცხადებ — არა!

„რაიკომის მდივანი" მავნე სურათია. იგი წარმოადგენს ოფიციალურ ინსპირირებულ დივერსიას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. დივერსიას, რომელიც დამაჯერებელ ილუზიას ქმნის ეროვნული ხსნის გზების შესახებ. აქამდე, ამ სურათამდე პროპაგანდა ვერ ახერხებდა თავისი ინტელექტუალური ნაწილის დარწმუნებას. 50-იანი წლების შემდეგ საბოლოოდ ჩატყდა ხიდი ქართველ ინტელიგენციასა და ქართველ პარტიულ მუშაკთა შორის. ლოიალობა თან გადაყვა „დესტალინიზაციას". ამას ხელი შეუწყოს თავად „დესტალინიზაციის" მოხერხებულმა მეთოდებმა, ხრუშჩოვმა ნაბან წყალს ბავშვიც თან გააყოლა. ამიერიდან ცალკე ვითარდებოდა პატრიოტული ქმედება, რომელიც არაიშვიათად უპირისპირდებოდა წმინდა პატრიოტულს. იმისთვის, რომ ნათელი გავხადოთ ეს თვალსაზრისი, ჯერ შევხედოთ „ფილმს თავისთავად", „ფილმი თავისთავად" ანუ „ფილმი როგორც ასეთი" ყოველგვარი კონიუნქტურებისაგან თავისუფალს ნიშნავს, ე. ი. უნდა დავივიწყოთ (მხოლოდ ერთი წამით), რომ თორელი შევარდნაძეა, უნდა დავუშვათ, რომ რ. ჩხეიძე გვთავაზობს არა არსებული რეალური გმირის კინოსახეს, არამედ სასურველ იდეალს, მესიანისტურ შეგონებას, მომავლის რაინდს, რომელიც შეძლებს (ვიმეორებ—შეძლებს!) დასმული საკითხებიდან თუნდაც ერთის (თუნდაც ერთის) გადაჭრას არსებულ პირობებში. ასეთ შემთხვევაში ფილმი „რაიკომის მდივანი" უმშვენიერესი ნაწარმოებია. კინემატოგრაფიულად სრულიად გამართული, მხატვრულად ძლიერი, პოლიტიკურად აქტიური, პატრიოტულად—უბადლო. გ. თორელი დედამიწაზე ჩამოსული სინდისია. უყურებ ამ დახვეწილ, ინტელექტუალურ ახალგაზრდას უზადოდ კეთილსინდისიერს, მეტყველთვალებიანს, უმანკო ცრემლის მღვრელს, ადამიანური ვნებებით ატანილს, ეროვნული ტკივილების მატარებელს და მზად ხარ, გაჰყვე ცის კიდემდე, მხარში ამოუდგე ცეცხლშიც, წყალშიც, ქარიშხალშიც. ტირი მასთან ერთად, როდესაც ისმენ საზღვრის იქითა მოძმეების გოდებას (ესოდენ ბრწყინვალედ გადმოცემულს ყანჩელის სულისშემძვრელი მუსიკით), გინდა გადაკოცნო ყველა ბავშვი, სათუთად რომ ჩაუხუტებიათ „ვეფხისტყაოსანი", გსურს დაუჩოქო მშობლიური მიწის გასაცოცხლებლად დაძრულ მაჰმადიან აჭარლებსა და ლიხსიქითა მთიელებს. ერთი რამ მართალი წამოსცდა ნ. დუმბაძეს — „ამ ფილმში არის ადგილები, რომელთა ყურება ავადმყოფი გულის პატრონს უთუოდ გაუჭირდება. გული ყელში გაწვება ბურთივით, გრძნობა ამოხეთქვას ლამობს, გინდა ახვიდე ეკრანზე და ხელი შეაშველო გიორგი თორელს, აი იმას, დედამ ფეხის ადგილისას რომ დააყოლა „კეთილი ფეხით გევლოს, შვილოო" და ისიც ცდილობს ასე იაროს".

დიახ, ამ „ფილმით თავისთავად" აღფრთოვანება შეიძლება. გაოცდი, ჩემო მკითხველო? მაშ, რას ვერჩით ამ ფილმს? — იკითხავ შენ და სრულიად სამართლიანად. საქმე ის არის, რომ „ფილმი თავისთავად" ქმნის ყალბ ილუზიას, ადუნებს ნებისყოფას, სიფხიზლეს. მართლა გგონია, რომ მიწაზე ჩამოვიდა ღმერთი „ჭაღარაშერთული ჭაბუკის" სახით, ჩამოიტანა ღვთაებრივი კვერთხი და გააცოცხლა უდაბნო. აი, მისმინე: გ. თორელმა მესხეთი ააღორძინა, აღადგინა დანგრეული ნასოფლარები, კვლავ დააგუგუნა ძველი ზარები, სახნისით გაჭრა ტაოს ველები.

ახლა ვნახოთ არა რ. ჩხეიძის მესხეთ-ჯავახეთი, არამედ სინამდვილეში არსებული, არა გ. თორელის ქმედება, არამედ შევარდნაძის პოზიცია. თანამედროვე მესხეთ-ჯავახეთი (მესხეთის ის ნაწილი, რომელიც რუსეთ-თურქეთის შეთანხმებით ჩვენს მხარეს დარჩა) უკიდურესი საფრთხის წინაშე დგას: მას ემუქრება ფაქტობრივი დენაციონალიზაცია. ამ მხარეში მხოლოდ ორი ქართული რაიონია — ადიგენი და ასპინძა, უაღრესად ღარიბი, უყურადღებოდ მიტოვებული მოსახლეობა უმთავრესად ჩასახლებულია (ოღონდ არა იმ მიზნით, რ. ჩხეიძის გ. თორელმა რომ ჩაასახლა). ახალციხის რაიონი უმთავრესად სომხურია: ახალქალაქში 93% სომეხია, 7% ქართველი (დაუკვირდით შეფარდებს—93—7—თან), ბოგდანოვკის რაიონში 80% სომეხია, 20% დუხობორი რუსი. აქ, ბოგდანოვკაში სულ რამდენიმე ქართველი ცხოვრობს. საერთოდ, ჯავახეთი (ახალქალაქი და ბოგდანოვკა) ფორმალურად ეკუთვნის საქართველოს. რაიონკავანძი სომხურად მუშაობს—ჩართულია ერევანზე, წარმოება სომხურია, სკოლა სომხურია მთელ ამ მხარეში ორი სკოლა შემორჩა ქართული, მოსწავლეთა უმცირესი კონტინგენტით. კატეგორიულად გამვლელ ქართველ ტურისტებს აქ ქვას უშენენ, ფხეკენ ქართულ წარწერებს უძველესი ტაძრებიდან, ამკვიდრებენ სომხურ ტოპონიმიკას. ყოველწლიურად აგროვებენ ხელმოწერებს მოსკოვში გასაგზავნად, სადაც თხოულობენ ხუთი რაიონის სომხეთთან შეერთებას. რას აკეთებს ამ დროს ნამდვილი გ. თორელი—ე. შევარდნაძე? — ირჩევს რაიკომის მდივნებს თავისი სომეხი ნაცნობებისაგან და თხოულობს ერთადერთს—კარტოფილის დამზადებას. განსაკუთრებით აინტერესებს საადრეო კარტოფილი, რომელიც, როგორც წესი, მოსკოვში იგზავნება. მჟავანაძემ, რომელსაც მისმა ყოფილმა ლაქიამ ი. აბაშიძემ „ყვარყვარე" უწოდა, ახალციხეში გახსნა ქართული თეატრი, ასპინძაში დააარსა ადგილობრივი მუზეუმი, რასაკვირველია, ეს კარგი საქმე იყო, მაგრამ არასკმარი. რთული პრობლემა მოითხოვდა ღონისძიებათა ციკლს. ეროვნული საქმით დაინტერესებულმა სხვადასხვა პიროვნებამ თუ კერძო პირმა წამოაყენეს რამდენიმე წინადადება. აღსანიშნავია სასაზღვრო ზონის საკითხის გადაწყვეტა. საქმე ის არის, რომ აწყურიდან იწყება ე. წ. აკრძალული ზონა. ეს ზონა უნიკალურია მთელ მსოფლიოში, არსად არ არის ასეთი ფართო სასაზღვრო ზოლი. ეს ხელს უშლის კუთხის ნორმალურ კავშირს სხვა რაიონებთან. ასეთი შეზღუდვა რატომღაც არ არსებობს სომხეთთან. შევარდნაძეს, თუ მოისურვებდა, თავისუფლად შეეძლო ამ ზოლის გაუქმება ან დავიწროება მაინც, მაგრამ ეს საკითხი მას არ დაუყენებია.. „მათი მესაზღვრეები უშლიან ჩვენთან ლაპარაკს", —ამბობენ ფილმში თურქებზე. დიახ, ასეა ფილმში! ცხოვრებაში კი. რ. ჩხეიძემ შესანიშნავად იცის, რომ საბჭოთა მესაზღვრეები უშლიან საბჭოთა მოქალაქეებს ურთიერთობას სასაზღვრო ზონაში მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეებთან. გამოითქვა აზრი, ჯავახეთში რამდენიმე მსხვილი რესპუბლიკური დაწესებულების გადატანის შესახებ, მაგალითად, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გადატანის, სამთო ფაკულტეტის ჩამოყალიბების, საზაფხულო საძოვრების შექმნის და სხვ. ასეთი მსჯელობისას ბევრი სკამჩაბღაუჭებული იცინის, გვიკითხავს დამრიგებლურ ლექციებს ეკონომიკის ეფექტზე, შრომითი რესურსების პრაგმატისტულ გამოყენებაზე. ეჭვიც არ მოსდით, რომ ასეთი ღონისძიებების განხორციელება შეიყვანს მხარეში ქართველ მოსახლეობას და გადაარჩენს უძველესი კულტურის კერას.

ჩემო თემურ, არავის ეპარება ეჭვი შენს პატიოსნებაში, არც პატრიოტულ განწყობილებაში. მართლაც, ბრწყინვალედ განასახიერე გ. თორელი, არ ვიცი, ვის გულისხმობდი: იდეალს, მომავალში რომ ელოდები, თუ კომუნისტურ პროტოტიპს...

ერთადერთი, რაც ძველი წინადადებებიდან აიღო შევარდნაძემ, ესაა რკინიგზის შეყვანა ამ მხარეში. ღმერთმა ქნას, ეს მაინც მიიყვანოს ბოლომდე.

„ავტონომისტებმა" აფხაზებთან სოლიდარობის პროკლამაციებიც გაავრცელეს საზოგადოებრივ ადგილებში. დიახ, წმინდა და უმანკო იყო, თემურ ბატონო, შენი ცრემლი, ვაიოს ველიდან რომ მისტიროდი იქით თურქისტანს, მაგრამ გაგქცა შენს გიორგი თორელს ირანიდან დაბრუნებული ფერეიდნელი ქართველების ჯგუფი? განა არ შეიძლებოდა აკლიმატიზაციის დასრულებამდე მათი ცალკე დასახლება, მეზობლებს ღორის მწვადით რომ არ შეეწუხებინათ და დროებით, რაღაც ფორმით, კოლმეურნეობის აცილება? სამხრეთ ოსეთი? აფხაზეთი — წაიკითხეთ, მეგობრებო, აფხაზეთის ქართველთა ორი წერილი და ნათლად დაინახავთ შევარდნაძის დათმობათა ფასს. ჩვენს თვალწინ ყალიბდება ეთნიკურ-სოციალური ბატონთა კლასი, რომელსაც „აფხაზი ხალხი" ჰქვია... მოდით, შევაჯამოთ, ჩემო მკითხველო, — არც მესხეთ-ჯავახეთის, არც მთელი რესპუბლიკის მასშტაბით გიორგი თორელს არა აქვს უფლება ეროვნულ-პატრიოტული ტკივილების გადამჭრელის პრეტენზია ჰქონდეს.

ფილმში ეროვნულ-პატრიოტული და პატრიოტულ-პოლიტიკური ქმედების უნიკალური „სიმბოლიზმი" როდია მთავარი. ძირითადია ზნეობრივი ხაზი. როდესაც ჯერ კიდევ გადაუღებელი ფილმის გადაჭარბებული რეკლამა ხდებოდა, ვგრძნობდი, რომ სწორედ ეს იქნებოდა წინ წამოწეული. მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება, ე. წ. „რევოლუციური განწმენდის გრიგალი" — მართლაც, ჯერ კიდევ დიდი კრიზისია ახალი ხელმძღვანელობისა, ეროვნული მოტივები ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა (ქვევით შევეცდებით, ვაჩვენოთ მათი გაჩენის მიზეზები). დასამალი არაა — შევარდნაძე უარყოფითის ნგრევით მოვიდა... ღირსეულად მოიხვეჭა პოპულარობაც. ვთქვათ სიმართლე 1972-1976 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნამდვილად იყო სახალხო გმირი, თითქმის ეროვნული სიამაყე. მაგრამ გავიდა დრო და ეფექტი ულმობელი აღმოჩნდა. ეკონომიკურ წარმატებებს, რომლითაც საჯაროდ ამაყობს დღეს ცენტრალური კომიტეტი არავითარი პრაქტიკული სარგებლობა არ მოუტანია. აბა, რა უნდა შეცვალოს მთელ ქვეყანაში რომელიმე ჩვენი საწარმოს შრომის ნაყოფიერების 24%-ით გაზრდამ — აბსოლუტურად არაფერი. პრუდონისეული განსაზღვრა რომ გავიმეოროთ, შევარდნაძის ბრძოლამ „ღარიბს არაფერი შესძინა, საწყის ეტაპზე კი მდიდარიც გაღარიბა". ამ საკითხებს ჩვენ სხვა დროს დავუბრუნდებით. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ე. წ. ახალმა კურსმა, 1972 წლიდან დაწყებულმა კურსმა, სრული კრახი განიცადა. სრული კრახი არა იმდენად, რამდენადაც მოხდა ეკონომიკური უკუსვლა ან კულტურული დაცემა. არა, ყველაზე საშინელი სხვა რამეა.. მჟავანაძის მმართველობა შეიძლება შევაფასოთ ისე, როგორც ტარლემ შეაფასა 1912 წლის რუსეთის მდგომარეობა. მას ასეთი მაგალითი მოჰყავს: იმპერიის ერთ-ერთ მინისტრთან შედის კაცი და საქმის გაჩარხვისათვის 10000 მანეთს უტოვებს — ბატონო მინისტრო, თქვენ საქმე გამიკეთეთ და პირობას გაძლევთ, ამ თანხის შესახებ ვერავინ გაიგებსო. მინისტრმა უკან დაუბრუნა ფული და უთხრა წადი, 20 000 მანეთი მომიტანე და თუ გინდა ქუჩაში იყვირეო. ეს ფაქტი 1972 წლამდელი გარიგების უკონტროლობის მაჩვენებელია. რა მოჰყვა კონტროლს? — ფასების ზრდა. ეს თანამდებობის პირი ქრთამს ორჯერ მეტს იღებს, ვიდრე 7-8 წლის წინათ იღებდა, მერე კი მიდის და საჯაროდ გმობს კორუფციას. ავიღოთ „ძველი მუშაობის უხამსი ფორმა — მიწერები", — ასე უწოდებდა გამოსვლებში შევარდნაძე მიწერებს. ჯერ ის გაუკვირდა ხალხს, რომ მიწერების ცნობილ ოსტატს — ჭანუყვაძეს რატომღაც არ შეეხო განმწმენდი გრიგალი — იგი დღესაც მინისტრია. მერე კი მიწერებს ოფიციალური სახე მიეცა. არც ერთ საკონტროლო ორგანოს, მათ შორის პროკურატურას, არ შეუძლია შეამოწმოს მეღვინე რთველის დროს. კიდევ ვიმეორებ, ამ საკითხს სხვა დროს დავუბრუნდებით.

ფილმში არის ასეთი სცენა: მერაბ სეთურიძეს, ცნობილ საქმოსანს, პატარა ჩემოდნით ფული შეაქვს რაიკომში. — ახლა, მართალია; მოწმე არავინა გვყავს, მაგრამ არა გრცხვენია? — ამბობს სულის სიღრმემდე შეურაცხყოფილი თორელი. მართლაც, რა არის პატიოსნება? შეიძლება მას ასეთი განმარტება მივცეთ: პატიოსანი ხარ მაშინ, თუ მოწმის გარეშეც იმას აკეთებ, რასაც საჯაროდ გააკეთებდი ე.ი. როცა შენს ქმედებას არეგულირებს შინაგანი ხმა. თემურ ჩხეიძეს ვურჩევთ, ერთი-ორი დღით გაიაროს თელავში ნათესავებთან და არაოფიციალურად გამოკითხოს, დღეში რამდენჯერ ესმენს შინაგანი სინდისის ხმას თელავის რაიკომის მდივანი?

ფილმი მასშტაბური გამოვიდა. საქართველოს გამოცდილება ბევრს დაეხმარა სხვადასხვა ანომალიის წინააღმდეგ ბრძოლაში. „არავის არ უნდა დაესწრო მსგავსი „შინაარსის ფილმის გადაღება, — ჩვენი პრიორიტეტი ამაშიც უნდა გამომჟღავნებულიყო. ეს ი.აბაშიძის სიტყვებია. ლიტერატურისა და ხელოვნების ქართველი მუშაკები ერთმანეთს ეჯიბრებიან ქებათა-ქებაში. მართლაცდა, ცდილობენ, არვინ დაგვასწროსო. შორს იხედებიან, ვინ იცის, რა მოხდება 26-ე საკავშირო ყრილობაზე? ემანდ, გიორგი თორელმა არაფერს გამოჰკრას ხელით (ი. აბაშიძე, ჯ. ჩარკვიანი, ე. ამაშუკელი, მ. ფოცხიშვილი და საერთოდ ყველა).

ერთს არ დაუძახია „მეფე შიშველიაო". რით უნდა აიხსნას ასეთი აჟიოტაჟი? კიდევ უკან დავბრუნდეთ. ზემოთ ალეგორიზმი განვსაზღვრეთ. „რაიკომის მდივანი" კი ღრმა ნაფიქრია, ჭკვიანმა ადამიანებმა დადგეს, ჭკვიანურად მოფიქრებულს კი არ უნდა ჰქონდეს ინსტინქტურობა... მაშ, საიდან მოდის რ. ჩხეიძის პოლიტიკური სიმბოლიკა? საქმე ის არის, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში განვითარდა ალეგორიზმის ორიგინალური მეთოდი — შეგნებული ალეგორია, ჩაწუპწებული ალეგორია. დღეს მოდაშია აღარაა მთავრობის პანეგირიკი. უფრო მეტიც, იშვიათად, რომ ადამიანმა სალონში ან არაოფიციალურ საღამოზე წაიკითხოს ლექსი პარტიაზე, ლენინზე. დღეს მოდაშია ის, ვინც დასცინებს საბჭოურ ცხოვრების წესს, მოყვება ანეგდოტს მთავრობაზე და საჯაროდ დალევს საქართველოს სადღეგრძელოს. ვიმეორებ, ეს მოდა არცთუ ისე ხელშემოსაკრავი საფუძვლებითაა ნასაზრდოები. პატრიოტობა კარგ ტონად ითვლება. ასეთი შემთხვევები ხშირად მეორდება ისტორიულად.. ერთ-ერთ მოგონებაში ცნობილი მსახიობი ალ. იმედაშვილი აღწერს თავის გამოსვლას 1905 თუ 1906 წელს. მან წაიკითხა ყველა მონოლოგი თუ ლექსი, ხალხი კი არ უშვებს სცენიდან. ჩიხში მომწყვდეულმა მსახიობმა საკუთარი უმწეობის დასამტკიცებლად წამოიძახა — „მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა", — დაინგრა მთელი დარბაზი ოვაციისაგან — რევოლუციური განწყობა სუფევდა ირგვლივ და ყველას მოეჩვენა, მზეში იმედაშვილი რევოლუციას გულისხმობსო. ასეა დღესაც. საკმარისია ოდნავ ორაზროვანი სიტყვა გაურიო თუნდაც სადღეგრძელოში, მაშინვე გამბედავი კაცის სახელი გაგივარდება. რა თქმა უნდა გამბედაობა სულ სხვა რამეა, მაგრამ პოპულარობის მაძიებელი მწერალი და პოეტი რას დაგიდევს გამბედაობის ჭეშმარიტობის ხარისხს. ტიპიური სცენა ამ სიმამაცისა დაახლოებით ასე წარმოგვიდგება: სადილი, სიმყუდროვეში ერთმანეთს ძმობას ეფიცებიან ცნობილი ხელოვანი და თანამდებობის პირი, მიდიან ოფიციალურ მიტინგზე: პოეტი ქუხს სუფრაზე, იწვის საქართველოს სიყვარულში (წვის ხარისხი ყოველთვის პირდაპირპროპორციულია ალკოჰოლის ზრდის), — რა მიქენი მღუპავ? — ისე „ჩუმად" იტყვის თანამდებობის პირი, რომ ყველას ესმის. დაირხევა ხმები გამბედავი პოეტისა და მისი თანამოაზრე დიდი კაცის შესახებ. გახსოვთ კოსტაია ალ. ცაგარელის პიესიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"? — „წადი, გავთრიე, დაიკარგე", — ყვირის კოსტაია, ჩუმად კი ჩაულაპარაკებს ყარაჩოღელებს — „თქვენი ვარ თქვენი!" მაგრამ დგება კრიტიკული სიტუაცია, უკომპრომისო ალტერნატივა — ან, ან! აქ აღარ გადის არტისტული ფანდები. ასეთ შემთხვევაში ახალი ტიპის კოსტაიები უყოყმანოდ დგებიან კონიუნქტურის მხარეზე.

რომელი მწერალი გამოვიდა 1978 წლის 14 აპრილს დემონსტრაციაზე? დიახ, ეს არის შეგნებული ალეგორიზმის ნამდვილი სახე. მთელი ეს ალეგორისტული „პატრიოტიზმი" მოგვიანებით „მოხდენილად" შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური დარგის მდივანმა ენუქიძემ: — „თქვენზე ნაკლები ქართველის დედა ვატირე!" ამ ფორმულის პრეამბულა ასეთია: რა უნდათ ამ ზობლძაღლებს, ენგურჰესი ავაშენეთ, მეხუთეჯერ დროშა ავიღეთ, „მარადისობის კანონს" ლენინური პრემია მივეცით... შევარდნაძე ენუქიძე არ არის. შესაძლოა მართვის სფეროში ისინი დიდად არ განსხვავდებიან ნიჭით, მაგრამ პოლიტიკურ ინტრიგაში პირველი ნამდვილი აკადემიკოსია. მან კარგად იცის: ხელოვანთა ერთი წრე თამაშობს, სწორედ ამიტომ მას სურს ამ წრეში ისე ითამაშოს, რომ ზურგით ზიდოს პარტიული მმართველობის აშკარა თანამდგომთა სრული პასუხისმგებლობა. აქ გარიგება პირდაპირია და უბრალო: გაძლევ, მომეცი პირველივე თხოვნით. თამაში შეიძლება ახლო წარსულზე, იცინე, იხითხითე ყვარყვარეზე, 1972 წელს კი ყოველგვარი ყოფნის გარეშე დაუჭირე მხარი. და აი, დამუშავდა ტაქტიკურად და სტრატეგიულად ეფექტიანი გეგმა: საზოგადოება უნდა დარწმუნდეს შევარდნაძეს ერთადერთს შეუძლია მთლიანად შეაერთოს, შეანივთოს პარტიულ-კონიუნქტურული და ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობის ყველა ასპექტი ზნეობრივ-მორალური ფონის სისრულით. აი, ეს რწმენა უნდა ჩაუნერგოს რ. ჩხეიძის ახალმა ფილმმა ადამიანებს. ეს არის მისი ძირითადი მიზანდასახულება. მაგრამ ფილმი ქმნის ყალბ ილუზიას, რაც უდავოდ ადუნებს ერის აუცილებელ სიფხიზლეს, მიზანდასახულება კი ფაქტობრივად წარმოადგენს კინემატოგრაფიული ხერხით წარმართულ იდეოლოგიურ დივერსიას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

* * *

მივმართავთ მკითხველ საზოგადოებას: თუ ვინმესთვის ცნობილია ამ ნიჭიერად დაწერილი პუბლიცისტური ნარკვევის ავტორი, შეგვატყობინოს, ან თავად დაასახელოს თავი, რამეთუ საფრთხე რომელიც მას ემუქრებოდა, და ის ეპოქა, რომელიც წარმოშობდა ამ საფრთხეს, წარსულს ჩაბარდა.

საზღვარგარეთ

შეაჩერეთ მკვლელობა თუკი შეგიძლიათ

განაცხადა გარშემორტყმული პარლამენტის შენობიდან ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილნიუსში ღამით მოწყობილი სასაკლაოს შემდეგ.

— ახლა კი, რამდენიმე სიტყვა ამ სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა ხალხებისადმი. კვლავ უიმედოდ მივექანებით „წითელი ფაშიზმის" უფსკრულისაკენ. ხალხო, აღსდეგით! დაიცავით თქვენი ოჯახები, თქვენი მომავალი, დაიცავით სამყარო — ის სამყაროც, რომელიც თქვენს გულებსა და ფიქრებში უნდა არსებობდეს და ის სამყაროც, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით და უნდა ვიცხოვროთ.

გამაგრდით სულიერად. არ დაუშვათ..., არ დაუშვათ!

— რა უნდა მოიმოქმედოს ბუშმა? — ჰკითხა ერთ-ერთმა უცხოელმა კორესპონდენტმა პრეზიდენტს.

— ის უნდა დაუკავშირდეს გორბაჩოვს ტელეფონით და უნდა უთხრას, რომ რანაირიც არ უნდა იყოს მდგომარეობა სპარსეთის ყურეში, ლიტვის მკვლელობაც მკვლელობაა. თუ გორბაჩოვი ამას არ გააჩერებს, მაშინ თავად გორბაჩოვსაც ვერავინ დაიცავს თავისივე მკვლელებისაგან. როდესაც ის ნოლი იქნება დასავლეთისათვის, ნოლივე გახდება საკუთარი პოლკოვნიკებისთვისაც.

საკუთარი ინფორმაცია.

ლიტვა

ვასილ კაპკანი, „საიუდისის" საერთაშორისო ურთიერთობის მდივანი (13 იანვარი, დილის 7 საათი): დღეს, ღამის ორის ნახევარზე, ვილნიუსთან ახლო მდებარე სამხედრო ქალაქიდან გამოვიდა ტანკების და მედესანტეების კოლონა. დაიძრა ვილნიუსის სატელევიზიო ანძისა და ტელე-რადიომაუწყებლობის კომიტეტისაკენ. ამ ობიექტებს, ისევე, როგორც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სასახლის შენობას, იცავდა ასობით ლიტველი ლიტვის თითქმის ყველა კუთხიდან. ტანკებმა მონახეს შედარებით დაუცველი ადგილი, ახლოს მივიდნენ ხალხთან, მიმართეს მათკენ ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები. ავტომატებს და ტყვიამფრქვევებს ჯარისკაცები თავდაპირველად ჰაერში ისროდნენ, როდესაც ხალხი დასხდა, რათა ტანკებისთვის გზა გადაეკეტა, რამდენიმე ტანკმა მათ გადაუარა...

„საიუდისში" მოვიდა შარვალგასისხლიანებული კაცი, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა, როგორ მოკლა სახეშეშლილმა სამხედრომ ხუთი ქალი. ორი საათისთვის ლიტვის ტელევიზიამ შეწყვიტა გადაცემები, მისი შენობა ჯარისკაცებმა დაიკავეს. „საიუდისის" ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი რომელიღაცური შეხვდა ტელეკომიტეტთან ახლომდებარე ქალს, კაფეში მომუშავეს, რომელიც ყვებოდა, რომ იგი თვითონ გახდა მოწმე ჯარისკაცების მიერ მოწყობილი პროვოკაციისა. მათ მოიტანეს სამხედროფორმიანი გვამი და იქვე დააგდეს, რათა ეს მკვლელობა ტელეკომიტეტის შენობის დამცველებისთვის დაებრალებინათ. არადა, ხალხს იარაღი არ ჰქონია, ტელეანძის და ტელეკომიტეტის ნებაყოფლობითი დაცვა უიარაღო იყო.

7 საათისათვის ჯანდაცვის სამინისტროდან ასეთი ცნობები გვაქვს: მოკლულია 11, დაჭრილია 109 კაცი. ელიან, რომ მსხვერპლთა რიცხვი გაიზრდება.

ამ ხოცვა-ჟლეტის მოწმენი გახდნენ იაპონელი კინოოპერატორები, რომლებიც გონს ვერ მოსულან ნანახის შემდეგ.

ქალაქში უკვე გავრცელდა ხმები, ვილნიუსში დადიან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პირები, რომლებიც უმაღლესი საბჭოს შენობის იერიშით აღებას აპირებენო.

ქუჩაში ისმის სროლის ხმა. ლანდსბერგისმა განაცხადა, ლიტველები არ უნდა ემორჩილებოდნენ უცხო ხელისუფლებას, ლიტველებს თავისი მთავრობა ჰყავთ.

ამ დილით შეიკრიბა სეიმის საბჭო. გადაწყდა: ხვალ გაიმართება სრულად ლიტვის მიტინგი. 14-ში გამოცხადდება პოლიტიკური გაფიცვა. სხდომაზე განიხილება ევაკუაციისა და იატაკქვეშეთში ცხოვრების პირობები.

ლიტვა ფაქტობრივად მოსწყდა სამყაროს, მუშაობს ერთადერთი კაუნასის რადიოარხი, თუმცა ამბობენ, რომ სტეკლერის მეშვეობით შესაძლებელია რადიოკავშირი პოლონეთთან, საფრანგეთთან, კანადასთან....

ლიტვის სხვა ქალაქებშიც არეულობაა.

დაიწყო მიბრუნება სამხედრო დიქტატურისაკენ, რის შესახებაც სულ ახლახან გვაფრთხილებდა ედუარდ შევარდნაძე.

როგორც ვასილ კაპკანმა გვაცნობა, 13-ში დილით ელიან ფედერაციების საბჭოს კომისიას მოსკოვიდან, რომელიც შეისწავლის როგორ სრულდება პრეზიდენტის ბრძანება.

კომისიის სავარაუდო წევრები არიან ტერ-პეტროსიანი, ოლეინიკი და დემენტეი.

ლიტერატურა

ავსტრიული ლიტერატურის მამამთავარი



გრილპარცერი დარბაისელი და ბუნებრივი პოეტური ტალანტით დაჯილდოებული კაციაო, უთქვამს გოეთეს.

გერმანული რომანტიზმის, კლასიციზმისა და სანტიმენტალიზმის, გოეთეს ანტიკური ტრაგედიებისა და შილერის ისტორიული დრამების გავლენით, მაგრამ ავსტრიის მაშინდელ ცხოვრებაზე დაყრდნობით შექმნილმა ნაწარმოებებმა, ლირიკულმა შედევრებმა და ეპიგრამებმა ფრანც გრილპარცერს ავსტრიული ლიტერატურის პირველი კლასიკოსისა და მსოფლიოს უდიდესი დრამატურგის სახელი მოუპოვა.

დაიბადა იგი ვენაში, 1791 წლის 15 იანვარს. წმინდა ანას გიმნაზიის დასრულების შემდეგ, ჯერ ფილოსოფიას სწავლობდა, 1811 წელს კი ვენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. ბედნიერი ბავშვობა, 1809 წელს მამის გარდაცვალებამ ჩაუმწარა. პირად უბედურებას სამშობლოს ბედუკუღმართობაც დაემატა. იმავე წელს ნაპოლეონის ჯარებმა ავსტრია უბრძოლველად ჩაიგდეს ხელში. ამ ამბავმა, მომავალი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას სამუდამო დაღი დააჩნია. ლექსებისა და დრამების წერა ჭაბუკობაშივე დაიწყო, მაგრამ მორიდებულმა ახალგაზრდამ გვიან გაამჟღავნა გულისნადები. უკვე აღიარებული და პოპულარული დრამატურგი, ხშირად მოგზაურობს იტალიაში, გერმანიაში, ინგლისში, თურქეთში, საბერძნეთსა და საფრანგეთში, დრეზდენში იგი ხვდება ლუდვიგ ტიკს, ბერლინში — ადელბერტ ფონ შამისოს, რაჰელ ვარნჰაგენს, ჰეგელს, ვაიმარში — გოეთეს, პარიზში ჰაინრიხ ჰაინესა და ლუდვიგ ბიორნეს.

უაღრესად განათლებული და მებრძოლი სულის პოეტი, ვერ ეგუებოდა ავსტრიის სახელმწიფო კანცლერის — კლემენს მეტერნიხის (1773-1859) რეაქციულ პოლიტიკას, რომელიც „საღვთო კავშირის" ცხოვრებაში გატარებითა და პოლიციური რეჟიმის განმტკიცებით ცდილობდა ქვეყანაში ფეოდალურ-აბსოლუტისტური სული შეენარჩუნებინა. მაგრამ „მეტერნიხის სისტემამ" (მაშინდელი მოარული გამოთქმაა), მისმა სულისშემხუთველმა პოლიტიკამ ვერაფერი გააწყო — ავსტრიასა და თითქმის მთელ ევროპაში მომხდარმა ისტორიულმა ძვრებმა, ნაპოლეონის ჯართან გამარჯვებამ ძველებურად წელში გამართა სახელმწიფო და ხალხი, ხელახლა ააღორძინა დაცემული ავსტრია. პატრიოტული თვითშეგნებისა და ეროვნული თვითშემეცნების დავიწყება გამოფხიზლებული და აღმდგარი ხალხისათვის უკვე შეუძლებელი იყო.

მართალია, ავსტრიამ გარეშე მტრებზე გაიმარჯვა, მაგრამ მეტერნიხი მკაცრად ილაშქრებდა ყოველგვარი ეროვნულისა და პატრიოტულის წინააღმდეგ. გაურბოდა, ჩქმალავდა და აკნინებდა რევოლუციურ სულს, ავსტრიელთა პატრიოტულ გამოვლინებას, საკუთარი ქვეყნის ისტორიასა და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს. საგარეო საქმეები კი მოაგვარა, მაგრამ მრისხანე კანცლერს ახლა შინაურ მტრებთან გამკლავება უჭირდა. გრილპარცერი გაბედულად აკრიტიკებდა მეტერნიხის რეაქციულ რეჟიმს და მუდმივი დავა ჰქონდა ცენზურასთან, თუმცა აშკარა პოლიტიკურ ბრძოლას არ უცხადებდა...

სახელგანთქმული მწერალი 1847 წელს ვენის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს, 1856 წელს სახელმწიფო მრჩევლად, 1859 წელს ვენისა და ლაიფციგის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად, 1864 წელს ქალაქ ვენის საპატიო მოქალაქეობა უბოძეს. 1871 წელს მხცოვან მწერალს 80 წლის იუბილე გადაუხადეს. ფრანც გრილპარცერი გარდაიცვალა ვენაში 1872 წლის 21 იანვარს და იქვეა დაკრძალული.

1875 წელს, ვენის მეცნიერებათა აკადემიამ დააარსა გრილპარცერის სახელობის პრემია, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ენიჭება ავსტრიელ და გერმანელ ავტორებს ავსტრიის თეატრის სცენაზე განსახიერებული საუკეთესო პიესებისათვის. 1889 წელს, ვენის სახალხო ბაღში დაიდგა დიდი დრამატურგის ძეგლი, ხოლო 1890 წელს დაფუძნდა „გრილპარცერის საზოგადოება", რომლის მიერ გამოქვეყნებულ „წელიწდეულში" სისტემატურად იბეჭდება საინტერესო გამოკვლევები და სტატიები, როგორც უახლეს ავსტრიულ ლიტერატურულ პრობლემებზე, ისე თვით ფრანც გრილპარცერის შემოქმედების ცალკეულ საკვანძო საკითხებზე.

გრილპარცერმა ორად ორი ნოველა დაწერა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ავსტრიულ ნოველისტიკას და ხელი შეუწყო მის შემდგომ განვითარებას. „სანდომირის მონასტერში" ავტორი რომანტიკულ ფერებში გვიხატავს სიწმინდისა და სამართლიანობისთვის ჩადენილ შურისძიებას. მას რომანტიკული ნოველისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება აქვს: მოგზაური რაინდები, იდუმალებით მოცული მონასტერი, უცნაური ბერი, მთვარით განათებული გარემო, ბუხარი, გაცრუებული სიყვარული, შურისძიება, მკვლელობა, მონანიება... მოქმედება ვითარდება ელვისებურად, დაძაბულად, საინტერესოდ. ნოველა, როგორც იტყვიან, სულმოუთქმელად იკითხება. მისი გვერდზე გადადება, შესვენება, შეყოვნება, თავში მოზღვავებული ფიქრებისა და ოცნების დაოკება შეუძლებელია. იგრძნობა დიდი ფსიქოლოგის, სიტყვის გამოჩენილი ოსტატის სტილი, თხრობის გრილპარცერისეული მანერა, ამბის დამაჯერებლობა. მასში ნათლად შეინიშნება რომანტიკული ლიტერატურისთვის ნიშანდობლივი „საშინელებანი", განსაცდელი, ფათერაკი, „ბედისწერის" ტრაგედიის ნიშნები და სხვა, რაც ასე უხვად გვხვდება მის თანადროულ გერმანელ რომანტიკოსთა შემოქმედებაში (ნოვალისი, ტიკი, არნიმი, ბრენტანო, ჰაინე, ჰოფმანი, შამისო, აიხენდორფი და სხვ.).

„სანდომირის მონასტრის" გამოქვეყნებიდან ოცი წლის შემდეგ, ფრანც გრილპარცერმა 1848 წელს ალმანახ „ირისში" დაბეჭდა „საბრალო მუსიკოსი", რომელშიც რეალისტური პროზის უბადლო ოსტატად მოგვევლინა. პირველ ნოველასთან შედარებით, აქ თხრობა დინჯად, აუჩქარებლად და აუღელვებლად მიმდინარეობს. მწერალი დეტალურად აგვიწერს სახალხო ზეიმს, მხიარულებას, განცხრომას, სადაც „მშრომელი ხალხი წმინდა ბრიგიტეს ერთი დღესასწაულიდან მეორემდე თითებზე ითვლის ღირსსახსოვარ დღეებს". ნოველის ავტორი, დრამატული ნაწარმოებებისგან განსხვავებით, რამდენადმე არღვევს ტრადიციას, შეგნებულად გვერდს უვლის სამეფო კარის წარმომადგენელთა, მაღალი საზოგადოების წრის წევრთა, გმირების, გამოჩენილი პიროვნებების ცხოვრების აღწერას, რადგან განსაკუთრებით უყვარს ხალხი. „სულის ჭეშმარიტი დღესასწაულის" მძებნელი მწერლის შემოქმედების მკვლევარები ამ ნოველას ავტობიოგრაფიულად მიიჩნევენ. მართლაც, „საბრალო მუსიკოსი", თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტის „ჩაშინაგნებული" სახეა, უფრო ნათლად, საკუთარი „მე"-ს შინაგანი სამყაროს გადმოცემის თავისებური ხერხი, სულის თავგადასავალი. მწერალმა თავისი მხატვრულ-ესთეტიკური და იდეურ-ფილოსოფიური მრწამსი მუსიკოსს ოსტატურად „გადააბრალა" და მისი პირით ის განცდები, უიღბლობა, უმწეობა, ეპოქის უბადრუკობა და სინამდვილისადმი ჰუმანისტური დამოკიდებულება გამოთქვა, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე აწუხებდა. ნოველა ნაღვლიანი ჰუმორითაა შეზავებული და ამავე დროს მასში ადრეული გერმანული რომანტიზმის მოძღვრების — „რომანტიკული ირონიის" ხერხიცაა გამოყენებული. ფრანც კაფკამ, მთხრობელს ანუ მწერალს, რომლის იდეურ განსახიერებას ხელმოცარული მუსიკოსი წარმოადგენს, მოსწრებულად „კომიკოსი ფსიქოლოგი" უწოდა.

კლარა ციგლერი მედეას როლში.

ფრანც გრილპარცერმა „საბრალო მუსიკოსში" თანადროული ავსტრიული სინამდვილე გამოამზეურა; მწერალმა იმთავითვე განჭვრიტა „სულისა" და „საქმის", „ხელოვნებისა" და „ცხოვრების" შეუსაბამობა-წინააღმდეგობანი, რომლის საწყისი — „ნოველა ხელოვანზე" ვილჰელმ ჰაინრიხ ვაკენროდერისგან მომდინარეობს, თავის უმაღლეს მწვერვალს კი XX საუკუნის უდიდესი რომანისტის თომას მანის შემოქმედებაში აღწევს.

ფრანც გრილპარცერს, ვისი ლირიკული შედევრებიც „გერმანული პოეზიის ბრწყინვალე მარგალიტებად" (ადალბერტ შტიფტერი) მიიჩნევა, სულ ცოტა, ერთი საუკუნე მაინც „დააგვიანდა" საქართველოში. ამიტომ, ვეცდებით, მისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებიდან, რაც შეიძლება მოკლედ, ქართველი მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ მხოლოდ და მხოლოდ საქვეყნოდ აღიარებულ რამდენიმე დრამატულ ნაწარმოებზე.

პირველი პიესა, რომლითაც 26 წლის გრილპარცერმა სახელი მოიხვეჭა, იყო რომანტიკული ტრაგედია „წინაპარი ქალი". დრამატული პოემა იწერებოდა ნაპოლეონის დაცემის, ავსტრიის აღორძინებისა და ფეოდალური რეაქციის გამარჯვების წლებში. 1817 წელს, ვენის თეატრის სცენაზე განხორციელებულმა დადგმამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მანამდე უცნობი ავტორი ერთბაშად ყველასთვის ახლობელი გახდა. დრამატურგი შეეცადა „ბედისწერის ტრაგედიის" შტამპების დაძლევასა და თანადროული ავსტრიის შესაფერი ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოების შექმნას, რაც ნაწილობრივ შესძლო კიდეც. ამიტომაცაა, მებრძოლი სულით გაჟღენთილ ამ ტრაგედიას ლიტერატურათმცოდნეები ხშირად შილერის „ყაჩაღებს" რომ ადარებენ. ალექსანდრ ბლოკმა ეს პიესა თარგმნა რუსეთის შავბნელი რეაქციის წლებში. წამძღვარებულ მოკლე წინასიტყვაობაში იგი წერს: „წინაპარი ქალი" მთრთოლვარებასა და სიცინცხალეს მანამ შემოინახავს, სანამ ბედკრულ კაცობრიობას იმ ჭირ-ვარამის გადატანა უწერია, რაც გრილპარცერმა ავად თუ კარგად უკვე გადაიტანა და რისი გადატანაც ახლა ჩვენ მოგველის მომავალში".

გრილპარცერის დრამატული პიესის „საფოს" (1817) შეფასებისას ალბათ საკმარისია მისი წარმატებით მოხიბლული ბაირონის სიტყვების გახსენება: ამ ავტორს საკმაოდ ძნელად წარმოსათქმელი გვარი აქვს, მაგრამ მერწმუნეთ, მსოფლიო მალე კარგად დაიმახსოვრებსო. გრილპარცერის სიდიადე სწორედ ის არის, მას ეპოქის თითქმის არც ერთი საჭირბოროტო საკითხი უყურადღებოდ, უმოქმედოდ და უპასუხოდ რომ არ დაუტოვებია.

„მეფე ოტოკარის ბედნიერება და აღსასრული" (1825), რომელიც ისტორიულად მე-13 საუკუნეს ეხება, სინამდვილეში XIX საუკუნის 20-იანი წლების სინამდვილეს ასახავს. თანამედროვეთათვის, რა თქმა უნდა, ძნელი გამოსაცნობი არ იყო ტირანისა და ანტიჰუმანისტის — მეფე ოტოკარის სახეში ავტორი ნაპოლეონს რომ გულისხმობდა.

ლირიკულ ტრაგედიაში „ზღვისა და სიყვარულის ტალღები" (1831) მწერალმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადა რელიგიასა და ასკეტიზმს. თუ შილერის ბალადაში „ჰერო და ლეანდრე" საბოლოოდ ამაღლებული და ყოვლისმძლე სიყვარული იმარჯვებს, ამ პიესაში გამოყვანილი ჰერო და ლეანდრე რელიგიის მსხვერპლნი ხდებიან.

დრამატურგიულ ზღაპარ-პოემაში „ცხოვრება სიზმარია" (1834) ავტორი ქრისტიანული მოძღვრებით გამსჭვალულ ლოპე დე ვეგასა და კალდერონის ამავე სახელწოდების კომედიებს ძალაუფლების მოყვარულ გმირსა და მყუდრო ოჯახურ ცხოვრებას უპირისპირებს.

გრილპარცერის მდიდარ დრამატულ ნაწარმოებთაგან, გვინდა გამოვყოთ მწერლის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი და დაუდგმელი პიესები „ტოლედოელი ებრაელი ქალი", რომლის მთავარი გმირი ესპანეთის მეფე ალფონსო ქვეყნის წინაშე ვალის მოხდის მიზნით ზურგს შეაქცევს თავის საყვარელ რაქელს და „ლიბუშა", დრამატურგის ოცნებით შექმნილი უტოპიური ქვეყანა, სადაც გულახდილობა, პატიოსნება, პირდაპირობა, მეგობრობა, კაცთმოყვარეობა, სამართლიანობა და სიყვარულია გაბატონებული.

გვსურს, ცალკე გამოვყოთ გრილპარცერის მიერ ქართულ თემაზე, უფრო ზუსტად, კოლხურ-ბერძნულ ურთიერთობაზე დაწერილი ტრილოგია „ოქროს საწმისი" („კეთილი სტუმარი", „არგონავტები", „მედეა", 1818-1821).

თქმულებები არგონავტებზე, მითები და ლეგენდები ოქროს საწმისზე, ისტორიულ-მითოლოგიური ამბები კოლხეთზე, დაუშრეტელი ფანტაზია უმშვენიერეს, ჯადოქარ, გონიერ, მოხერხებულ და მოსიყვარულე კოლხ ასულ მედეაზე მარადიული თემა იყო და ალბათ მომავალშიც ასე იქნება მსოფლიო ხელოვნებაში, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია მოიძებნოს მეორე მხატვრული სახე, რომელსაც მედეას მსგავსი გავრცელება და გარდასახვა განეცადოს. ევრიპიდეს გამონაგონმა, მითიდან გადახვევამ და მედეას სახეცვლილებამ, იაზონისა და მედეას ტრაგიკულმა ბედისწერამ არგონავტიკა მოარულ თემად აქცია მსოფლიო ლიტერატურაში. ბერძენი და რომაელი სიტყვის გამოჩენილი ოსტატების შემდეგ, ეს თემა, ჩვენი აზრით, ყველაზე ფართოდ გერმანელმა მწერლებმა და მთარგმნელებმა გამოიყენეს.

იდუმალებით მოცულ სანუკვარ განძზე — ოქროს საწმისზე, არგონავტთა მოგზაურობასა და თავგადასავალზე, მეფე აიეტის გმირობასა და ვაჟკაცობაზე, იაზონისა და მედეას ბედუკუღმართობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, რომელთაგან ფრანც გრილპარცერის „ოქროს საწმისი" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის.

წინამორბედ ავტორთაგან განსხვავებით, გრილპარცერმა საკმაოდ ორიგინალური გზა აირჩია და მრავალრიცხოვან წყაროებში მოცემულ მედეას სახეს, სხვა თვისებებიც მიუმატა. კოლხი ასული დიდი ოცნებებითა და იმედით მიჰყვება იაზონს უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაში — საბერძნეთში, მაგრამ მალე გულაცრუებული, გაწბილებული და სასოწარკვეთილებამდე მისული, იგი არა მარტო ქმრისა და მისი ნათესავებისთვის, არამედ იმ გარემოში აღზრდილი საკუთარი შვილებისთვისაც კი მარად უცხო რჩება. ამიტომ იყო, რომ მედეამ, ვინც სამშობლო დათმო, კერა მიატოვა, ნათესავებს, ტოლსწორებს, ნაცნობ-მეგობრებს შეელია და ყველაფერი სიყვარულს ანაცვალა, იაზონს არ აპატია ოჯახის ღალატი, პირადი შეურაცხყოფა და შურისგების მიზნით შვილები სასიკვდილოდ გაიმეტა. აქ გრილპარცერი ვერ ასცდა მითიდან ევრიპიდისეულ გადახვევას და ბერძენი ტრაგიკოსის გამონაგონი არჩია, რადგან, მისი აზრით, პიესის ამგვარი ფინალი კარგად გამოხატავდა მაშინდელი ავსტრიის ჰუმანურ კრიზისს.

ფრანც გრილპარცერის „ოქროს საწმისი" მრავალჯერაა დადგმული ბევრი ქვეყნის თეატრის სცენაზე. მისი პრემიერა შედგა 1821 წლის 25 მარტს ვენის თეატრში და დრამატურგს დიდი პოპულარობა მოუხვეჭა. მედეას როლის პირველი შემსრულებელი იყო გრილპარცერის თანამედროვე მსახიობი სოფი შროიდერი. მედეას სახის შექმნაში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის შესანიშნავ მსახიობს კლარა ციგლერს, რომელმაც 1863-1900 წლებში ავსტრიის 60 ქალაქის სცენაზე სამასჯერ განასახიერა ეს როლი. ცნობილმა ავსტრიელმა პროზაიკოსმა და დრამატურგმა ჰაინრიხ ლაუბემ (1806-1884) ერთხანს მივიწყებული დრამა ხელახლა ააღორძინა. გერმანულენოვანი ქვეყნების თეატრებში XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული იგი ახლაც ხშირად იდგმება.

1991 წელი ავსტრიაში ფრანც გრილპარცერის წლად არის გამოცხადებული. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ეგიდით ბევრ ქვეყანაში საზეიმოდ აღინიშნება დიდი პოეტისა და მოაზროვნის ორასი წლის იუბილე. ურიგო არ იქნება, ქართული თეატრის სცენაზეც ელვარებდეს ავსტრიელი დრამატურგის მიერ შექმნილი კოლხი ასულის უკვდავი სახე, რომლის ფენომენი დღემდე ამოუცნობი და მარად მიმზიდველია ყველა ეპოქის მწერლისა და ხელოვანისათვის.

ვიქტორ კახნიაშვილი

გამოსათხოვარი

ალექსანდრე ალექსიძე

ქართულმა მეცნიერებამ და კულტურამ დიდი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ალექსანდრე დიმიტრის ძე ალექსიძე**.

ა. ალექსიძე დაიბადა 1937 წლის 7 იანვარს ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეთა ოჯახში. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1960-63 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით. 1963 წლიდან მუშაობდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ჯერ მასწავლებლად, შემდეგ დოცენტად, ბოლოს კი პროფესორად.

ა. ალექსიძის პედაგოგიურმა და სამეცნიერო მუშაობამ ადრევე მიიპყრო ყურადღება. უკვე ასპირანტურის წლებიდან კითხულობდა სალექციო კურსებს ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში, ასწავლიდა კლასიკურ ენებს. მისმა ნაშრომებმა ბიზანტინოლოგიასა და ქართველოლოგიაში სპეციალისტთა ფართო აღიარება დაიმსახურა. მონოგრაფია „ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო", რომელიც გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში სამაგიდო წიგნად იქცა. ამჟამად მზადდება მისი გამოცემა ბერძნულ ენაზე. ბიზანტინოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია მისი მონოგრაფია „XI-XII საუკუნეების ბიზანტიური ლიტერატურა". ახალი თაობის ქართველ მეცნიერთა შორის იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მოინახულა ათონის მთის ქართული სიძველენი, მიუძღვნა მათ მონოგრაფია („ათონი ათასწლოვანი") და განაახლა ქართული საზოგადოების ინტერესი ჩვენი კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი კერისადმი, რამაც გარკვეულად განაპირობა ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა სრული კოლექციის მიკროფილმირების ორგანიზება.

სწორედ მისი ნაშრომებისადმი დიდი ინტერესი გახდა იმის საფუძველი, რომ ა. ალექსიძე დიდი ხნით მიიწვიეს ლექციების საკითხავად ბიზანტინოლოგიასა და ქართველოლოგიაში სტრასბურგის (1969-1971 წლები), პუატიეს (1982 წ.), კრეტის (1984 წ.) უნივერსიტეტებში. ქართველი მეცნიერის მოღვაწეობის დიდი აღიარება იყო ა. ალექსიძის თანამშრომლობა გამომცემლობა გალიმართან (საფრანგეთი), რომლის ცნობილი საენციკლოპედიო სერიის მსოფლიო ლიტერატურისადმი მიძღვნილ ტომში მან გამოაქვეყნა ნარკვევი ქართულ მწერლობაზე; ასევე — საკავშირო აკადემიის მიერ გამოცემული მრავალტომიანი „ბიზანტიის კულტურის" სარედაქციო კოლეგიის წევრობა და „ვიზანტიისკი ვრემენიკის" სარედაქციო კოლეგიისა და ვინკელმანის საერთაშორისო საზოგადოების (გერმანია) წევრად არჩევა. იგი სისტემატურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, ბიზანტინოლოგთა მსოფლიო კონგრესებზე (ათენი, ვენა, ვაშინგტონი).

ა. ალექსიძე წლების განმავლობაში მნიშვნელოვანსა და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი სხვადასხვა დროს იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე და სხვა. 1981 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტს. იყო საქართველოს რამდენიმე მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი. ა. ალექსიძე თავმჯდომარეობდა იმ კომისიას, რომელმაც 1989 წელს მოამზადა პროექტი უზენაესი საბჭოს სესიის დადგენილებისათვის 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შესახებ.

ჩვენმა ახალგაზრდობამ დაკარგა ჩინებული და მზრუნველი პედაგოგი, მეცნიერებამ — მსოფლიო სახელის მქონე მკვლევარი, ქართულმა საზოგადოებამ — ბრწყინვალე ინტელიგენტი და პატრიოტი, რომლის ნათელი სახელი დიდხანს დარჩება ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,
საქართველოს მშვიდობის ფონდი.

განცხადება

შეგახსენებთ ჟურნალისტთა კავშირის პრემიებს

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნომ 1990 წლისათვის დააწესა პრემიები:

„წლის საუკეთესო ჟურნალისტური ნაშრომისათვის" (1000 მანეთი), „წლის ყველაზე პოპულარული ჟურნალისტი" (1500 მანეთი), „წლის საუკეთესო ტელეგადაცემისათვის" (1000 მანეთი), „წლის საუკეთესო რადიოგადაცემისათვის" (800 მანეთი), წლის საუკეთესო ჟურნალისათვის" (1000 მანეთი), „წლის საუკეთესო რაიონული, საქალაქო ან საოლქო გაზეთისათვის" (1000 მანეთი), და „წლის საუკეთესო გაზეთისათვის" (1000 მანეთი).

მასალები გთხოვთ გამოგზავნოთ 1991 წლის 1 თებერვლამდე მისამართით: კოსტავას ქ. № 14.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დანიშნა გელა გრიგოლის ძე ლეჟავა საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

• • •

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ზაზა ივანეს ძე დარასელი გაათავისუფლა საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

სპორტი

პელე პასუხობს

ფეხბურთის მეფე და „მსოფლიო მოქალაქე" პელე თავის საქმეებთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატებიდან რამდენიმე დღით ჩაფრინდა მშობლიურ ბრაზილიაში. ადგილობრივი და უცხოელი კორესპონდენტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე მან უპასუხა დასმულ კითხვებს.

— რაშია პელეს სპორტული დღეგრძელობის საიდუმლო? თქვენს 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბრაზილიისა და მსოფლიოს ნაკრებთა შორის გამართულ მატჩში ბრაზილიის პრესამ ერთხმად მიგიჩნიათ საუკეთესო მოთამაშედ, „ათიანი" დაგიწერათ, მაშინ როდესაც, მაგალითად, თქვენს შემცვლელად გამოსულმა და ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორმა ნეტუმ მხოლოდ „ექვსიანი" დაიმსახურა.

— სხვათა შორის, ნეტუმ ეს ბურთი ჩემი ბუცებით გაიტანა, რადგან თვითონ არ აღმოაჩნდა წვიმაში გამოსადეგი ფეხსაცმელი და ამიტომ ჩემი სათადარიგოთი ისარგებლა. რაც შეეხება დღეგრძელობას, ვოცნებობ ბურთი თამაშში შევიყვანო, როცა ჩემი ასი წლისთავის აღსანიშნავად ბრაზილიის ნაკრები „ყველა ვარსკვლავის" წინააღმდეგ წარსდგება. საიდუმლოება კი ის არის, რომ არ ვეწევი, არ ვსვამ ერთ გრამ ალკოჰოლსაც კი, უფრო მეტიც, კატეგორიულად უარს ვამბობ თამბაქოსა და სასმელის რეკლამაში მონაწილეობაზე. მხოლოდ ფრინველისა და თევზის ხორცს ვჭამ, დიდძალ ვიტამინს ვიღებ.

— ბრაზილიის ნაკრები, თავის პოპულარობის მიუხედავად, აგერ 20 წელია ვერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. არგენტინამაც შესამჩნევად დათმო პოზიციები. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ევროპულმა ფეხბურთმა უკან მოიტოვა სამხრეთამერიკული?

— სტრატეგიის, ტაქტიკისა და ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით შესაძლებელია ასეც იყოს, მაგრამ ინდივიდუალური თამაშით კი არა. მართალია, ადრე ბრაზილიელი მოთამაშე ევროპელს უსწრებდა 50 წლით, ახლა კი ეს განსხვავება 10 წლამდე შემცირდა. ვიმეორებ, რომ ლაპარაკია ბურთის დამუშავებასა და დამორჩილებაზე.

— აქვს თუ არა ბრაზილიელ გულშემატკივარს შენდობის უნარი? ცნობილია, რომ იგი ძალზე განიცდის საკუთარი გუნდის დამარცხებას, ამას ემატება სამხრეთული ტემპერამენტი.

— დიახ, ჩვენს ქომაგებს არ აკმაყოფილებთ კარგი თამაში, ისინი მოითხოვენ სრულყოფასთან მიახლოვებულ უმაღლეს კლასს. სწორედ ამიტომაა, რომ ბრაზილიაში უამრავი მწვრთნელია.

— ალბათ, ყველა ბიჭუნამ იცის, რომ თავისი სპორტული კარიერის მანძილზე პელემ მეტოქის კარში 1.282 ბურთი გაიტანა. უფრო ნაკლებადაა ცნობილი რამდენი ტრავმა მიიღეთ...

— ყველა რომ შევაჯამოთ, 500 დაზიანება აღმომაჩნდება.

— თქვენი აზრით, ვინ არიან მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეები პელეს ეპოქის შემდეგ?

— ბრაზილიელები ზიკო, სოკრატესი, ჟუნიორი, აგრეთვე გულიტი და მარადონა. დიეგოს გარეშე არგენტინას ნაკრები ვერ გახდებოდა ვიცე-ჩემპიონი იტალიაში.

საკუთარ სახლში

დაცვა ჟურნალისტსაც სჭირდება

მრავალ ჭირვარგამოვლილ საქართველოს მიწა-წყალზე კვლავ იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი. თუ არა ანტიდემოკრატიული, ანტიჰუმანური, ანტიკონსტიტუციური, სხვა რა შეიძლება ეწოდოს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებას, რომლითაც მან მსხვერპლად გასწირა რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობა. მთელმა მსოფლიომ უნდა შეიტყოს, — ითქვა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის პლენუმზე, რომელიც 12 იანვარს გაიმართა, რომ ამ საშინელი ტრაგედიის ავტორია მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი!

ჟურნალისტთა კორპუსი მხარს უჭერს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის 9 იანვრის საგანგებო სხდომის გადაწყვეტილებას, რადგან იგი ქართველი ხალხის ნებას გამოხატავს, აღნიშნეს პლენუმის მონაწილეებმა.

იმავე დღეს საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სახელით პრეზიდენტს გაეგზავნა დეპეშა, რომელშიც მოითხოვენ 7 იანვრის ბრძანებულების გაუქმებას.

პლენუმზე აღინიშნა, რომ დადგა დრო დაისვას იმ პირთა იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც არაობიექტურ ინფორმაციას ავრცელებენ. ეს განსაკუთრებით ეხებათ ცენტრალურ პრესასა და საკავშირო სახტელერადიოს.

პლენუმზე განიხილეს აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონის პროექტი, რომელიც რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების თანახმად სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა გასული წლის 30 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში".

მთელი საქართველო იღვწის სრული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ჭეშმარიტად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის. ამ მიზნის მისაღწევად, ითქვა პლენუმზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა დემოკრატიულ საკანონმდებლო გარანტიებს. აქამდეც იყო პრესის თავისუფლება, სინამდვილეში კი?.. დღემდე არ არსებობს იურიდიული მექანიზმი, რომელიც ჟურნალისტებს დაიცავს გარეშე ძალისაგან, ყოველგვარი დიქტატისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი ხელმძღვანელობა სამართლიანად თვლის, რომ პრესა, რადიო, ტელევიზია თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი დიქტატისაგან რადგან პრესის თავისუფლება თავისუფალი საზოგადოების საფუძველია.

— სწორედ ამიტომაც დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონის მიღებას, — გვითხრა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა. — და რაც უფრო მალე გვექნება ეს კანონი, მით უკეთესი. იგი იქნება ჟურნალისტთა მუშაობის წარმმართველი, მათი უფლება-მოვალეობის განმსაზღვრელი და, რაც მთავარია, ჟურნალისტის პიროვნების დამცველი. კანონი დიდ პერსპექტივებს უსახავს პრესის მუშაკებს. კანონპროექტის შემმუშავებელმა კომისიამ უდავოდ დიდი შრომა გასწია მისი შექმნისათვის, მაგრამ როგორც პროექტის განხილვისას აღმოჩნდა, ჟურნალისტებს გვაქვს არსებითი შენიშვნებიც. იმედია ამ შესწორებებსა და შენიშვნებს გაითვალისწინებენ უზენაესი საბჭოს შესაბამის კომისიაში, ვიდრე კანონპროექტის საბოლოო ვარიანტს მოამზადებენ სესიაზე დასამტკიცებლად.

პლენუმზე, რომელზედაც გამოვიდნენ ჟურნალისტები ზაზა ქინქლაძე, არჩილ გოგელია, ია მუხრანელი, ვალერი კვარაცხელია, მერაბ ბალარჯიშვილი, მერაბ ბერაძე, საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის მდივანი აკაკი სიხარულიძე, საქართველოს უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარე თეიმურაზ ქორიძე, უზენაესი საბჭოს პრესცენტრის თავმჯდომარე თენგიზ დიხამინჯია და სხვები, ცხარე კამათი გაიმართა კანონპროექტის გამო, ჟურნალისტური ყოველდღიური მოღვაწეობის აქტუალურ პრობლემებზე.

პლენუმზე განიხილეს სხვა სადღეისო საყურადღებო საკითხებიც, დასახეს მათი გადაჭრის გზები.

სს „საქართველო".

ტელევიზია

თბილისი

სამშაბათი, 15 იანვარი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — საერთაშორისო დღიური (გამეორებით). 16.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ნაკრძალი მატსალუ". 17.20 — მოსწავლეთათვის მზეო მომავლისა! 17.50 — სუფრული. კონცერტი. 18.50 — განცხადებები. 18.55 — ადამიანი და გარემო. ცა, დედამიწა, ადამიანი. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — გზა თავისუფლებისაკენ. 21.00 — „ვრემია". 21.45 — ხალხური შემოქმედება. ჩონგური საქართველოა... შესვენებისას (22.40) — ქრონიკა.

მეორე პროგრამა. 16.05 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უჩვეულო რეისი". 17.10 — „რამაიანა". სატელევიზიო დადგმა. 18.55 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მსურველებს შეუძლიათ ჩაენერონ". 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ტყე შეუნახე შვილებსა".

მოსკოვი

სამშაბათი, 15 იანვარი

პირველი პროგრამა. 6.30 — „დილა" (120+30). 9.00 — შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს. 9.15 და 19.20 — „რვაფეხა-4". II სერია. 19.55 — მულტფილმი. 11.00 — ბავშვის საათი. 12.00, 15.00 და 0.15 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 12.15 — კონცერტი. 15.15 — მხატვრული ტელეფილმი „საავადმყოფო ქალაქის განაპირას". I სერია. 16.05 — „იჩკერია — ჩემი სიმღერა!". 16.40 — მულტფილმი. 16.50 — დოკუმენტური ფილმის პრემიერა. 17.40 — საბავშვო მუსიკალური კლუბი. 18.20 — „ეძებეთ ქალი". 19.05 — შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს. 21.00 — „ვრემია". 21.45 — „ვიდი" წარმოგვიდგენს. 22.30 — „სიტყვა". 0.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ქალიშვილი". I სერია. 1.45 — „დაუკარ, გარმონო!".

მეორე პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. 8.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 8.35 და 9.35 — გეოგრაფია. VIII კლასი. 9.05 და 10.05 — ფრანგული ენა. 10.35 და 11.35 — გეოგრაფია. VII კლასი. წყნარი ოკეანე. 11.05 — დედა, მამა და მე. 12.05 — მხატვრული ფილმი. 13.15 და 17.20 — რიტმული ტანვარჯიში. 13.45 — დოკუმენტური ფილმის პრემიერა. 14.05 და 17.00 — კონცერტი. 17.50 — დოკუმენტური ფილმი. 18.15 — რუსეთის მეწარმენი. 19.10 — რუსეთის პარლამენტის მოამბე. 19.25 — სატელევიზიო მუსიკალური აბონემენტი. 20.00 — „ძილი ნებისა, პატარებო! 20.15 — რუსეთის სფსრ ქალაქთა ტელესტუდიები. 20.45 — დაიხსომე სიმღერა! 21.00 — „ვრემია". 21.45 — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესია. 22.45 — მხატვრული ფილმი. „ხასიათით ვერ შეეწყვნენ".

მთავარი რედაქტორი მაწუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;

წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო

კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.

ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკა